



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თორნიკე დიდებულიძე

ინოვაციების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმოებლურობაზე

მოდული: საერთაშორისო ბიზნესი  
კვლევითი პროექტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი  
დავით სიხარულიძე

თბილისი

2019

# სარჩევი

შესავალი .....	7
თავი 1. კვლევის თეორიული საფუძვლები.....	9
1.1 . მცირე და საშუალო ბიზნესის შიდა და გარე გარემოს დახასიათება.....	9
1.2 მცირე და საშუალო საწარმოების არსი და კრიტერიუმები .....	12
1.3 ინოვაციური პროცესები მცირე და საშუალო საწარმოებში .....	15
თავი 2. ინოვაციის გავრცელება და მისი დეტერმინანტები.....	27
2.1 ინოვაცია, ინოვაციის დანერგვა და ეკონომიკური ზრდა.....	27
2.2 ინოვაციების გავლენა მწარმოებლურობაზე .....	70
2.3 გლობალური ინოვაციური პროცესები .....	72
თავი 3. კვლევის შედეგები .....	82
3.1 საქართველოში ინოვაციური გარემოს ანალიზი.....	82
3.2 ინოვაციური პროცესების ანალიზი ქართულ ფირმებში.....	89
დასკვნა .....	93
გამოყენებული ლიტერატურა.....	95

## სექმები

სექმა 1 .....	18
სექმა 2 .....	21
სექმა 3 .....	24

## ცხრილები

ცხრილი 1 .....	47
ცხრილი 2 .....	49
ცხრილი 3 .....	51
ცხრილი 4 .....	53
ცხრილი 5 .....	55
ცხრილი 6 .....	57
ცხრილი 7 .....	59
ცხრილი 8 .....	61
ცხრილი 9 .....	62
ცხრილი 10 .....	64
ცხრილი 11 .....	66
ცხრილი 12 .....	68
ცხრილი 13 .....	84
ცხრილი 14 .....	85
ცხრილი 15 .....	85
ცხრილი 16 .....	86
ცხრილი 17 .....	87
ცხრილი 18 .....	87
ცხრილი 19 .....	88
ცხრილი 20 .....	88
ცხრილი 21 .....	89
ცხრილი 22 .....	91

## დიაგრამები

დიაგრამა 1 .....	45
დიაგრამა 2 .....	46
დიაგრამა 3 .....	52
დიაგრამა 4 .....	56

## ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომი ეხება ინოვაციების გავლენას მცირე და საშუალო ბიზნესის მეწარმეობაზე. ნაშრომში თავდაპირველად განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის არსი და მისი კრიტერიუმები, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური წარმოების აუცილებლობას ნებისმიერი საზოგადოების არსებობისთვის. ძირითადად განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის განსაკუთრებულ მნიშვნელობა, მათი როლი სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, მსხვილ კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაში. ასევე საბაზრო კონკურენციის ჩამოყალიბებაში, პროდუქციის ხარისხის მუდმივად გაუმჯობესებასა და ხარჯების შემცირებაში. ნაშრომში ასევე განხილულია ზოგადად ინოვაციების არსი და როლი საბაზრო ეკონომიკაში. მათი მნიშვნელობა მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის მართვაში და მათი განსაკუთრებული როლი წარმატებული ბიზნესის შექმნაში.

დღეს გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ცოდნის სწრაფი გავრცელების გამო ფირმები იძულებული არიან მეტად დანერგონ ინოვაციები და გააფართოვონ ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ეს შეიძლება განხორციელდეს ან კვლევა-განვითარებით ან გარეგანი ტექნოლოგიური ცოდნა/გამოცდილების წვდომით.

ინოვაციები რჩება ძირითად სტრატეგიად და მამოძრავებელ ძალად საწარმოებისთვის კონკურენტულ გარემოში განვითარებასა და ზრდისთვის. ნებისმიერი ნაციის განვითარება დამოკიდებულია მისი საზოგადოების წევრების და მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ შესაძლებლობებზე. მცირე და საშუალო საწარმოები რჩებიან ეკონომიკური განვითარების კატალიზატორად როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში. ისინი უზრუნველყოფენ დასაქმების ზრდას, მეწარმეობის განვითარებას და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას. ტექნოლოგიური პროგრესი არის პრიორიტეტი ყველა

ქვეყნისთვის, რომლებსაც უნდათ ეკონომიკური განვითარება. გავრცელების გარეშე ინოვაციას ექნებოდა მცირე ეკონომიკური და სოციალური გავლენა.

ინოვაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკურენტუნარიანობასთან, მწარმოებლურობასთან და სამუშაო ადგილების შექმნასთან, მიჩნეულია საციცოცხლო ძალად ეკონომიკური ზრდისთვის.

## **Abstract**

### **Innovation influence on small and medium-sized firms' productivity**

**Tornike Didebulidze**

This paper is about the influence of innovation on small and medium-sized business. In the research readers will come across the definition of the following terms: small and medium-sized enterprises. The paper defines how important such kind of business is for economy. This research also emphasizes the importance of small and medium-sized business and their role in formation gross domestic product, having new work places, creating innovation, technologies and etc. Also developing competition in market economy, increasing quality of products that is produced in economy and constantly making producing costs decrease. This research also defines innovation in general and its role in market economy. The importance of innovations in administrating small and medium-sized enterprises and their special role in creating and managing such business.

Nowadays, in the circumstances of rapid diffusion of globalization and technological knowledge firms have to adopt more innovations and increase technological abilities. This can be realized by Research&Development or access to external technological knowledge.

Innovations are very important for firms' strategy formation to grow and develop in competitive environment. Any nation's economic development depends on the members of their society and small and medium-sized firms' capabilities. small and medium-sized firms remain as catalyst of economic development in developed and developing countries. They provide employment growth, development of entrepreneurship and GDP growth. Technological progress is priority for all the countries wanting to develop. Without innovation diffusion innovation would have small social and economic impact. Innovation that is associated with competitiveness, productivity and increasing employment is essential force for economic growth.

## შესავალი

**თემის აქტუალობა** დღესდღეობით გლობალური ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციებს. ეს უკანასკნელი კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია. ფაქტობრივად, ინოვაცია კაცობრიობისთვის არსებითია სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დანერგა ახალი ტექნოლოგიები, რაც არსებითი გახდა პროდუქციის წარმოების ახალი წესისთვის. მეცნიერების განვითარებამ კაცობრიობას მისცა ახალი ცოდნა წარმოებაში. ტექნოლოგიური პროგრესი არის უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ქვეყნისთვის, ვისაც სურს ეკონომიკურ განვითარებას მიაღწიოს. დღესდღეობით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო კვლევებს და მის შედეგებს ახალი ცოდნის ფორმირებისთვის, რომელსაც შემდგომ გამოიყენებენ ბიზნესში. ასევე დიდი სახსრები და დრო იხარჯება აღნიშნული კვლევების ჩატარებისთვის.

ინოვაციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ბიზნესის მართვაში. ეს ეხება როგორც პროდუქციის წარმოებას, ბიზნეს პროცესების ორგანიზებას და სხვა. დღესდღეობით გლობალიზაციისა და ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ფირმები იძულებული არიან დანერგონ ახალი ტექნოლოგიები მათივე ეფექტურობის გაზრდის მიზნით. აქედან გამომდინარე ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნას, რაც კვლევა-განვითარებაზეა დაფუძნებული, რადგან ახალი ტექნოლოგიები სწორედ ამ სამეცნიერო ცოდნის საფუძველზე იქმნება.

დღეს, ბეზნესს უხდება ძლიერ კონკურენტულ გარემოში ოპერირება, ამიტომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე აღწევს თუ არა ის დასახულ მიზნებს, როგორ აღწევს და რა რესურსების გამოყენებით. ინოვაციებს შეუძლიათ გაზარდონ ფირმის ეფექტიანობა, მწარმოებლურობის ზრდით და დანახარჯების შემცირების კუთხით.

მცირე და საშუალო ზომის ფირმებს საციცოხლოდ ესაჭიროებად ესეთი ინოვაციების დანერგვა, რათა გაიზარდოს მათი ეფექტიანობა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

სულ უფრო მზარდი კონკურენციის და რესურსების შეზღუდულობის პირობებში ფირმებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის ფირმებს ესაჭიროებათ ახალი ტექნოლოგიები, რათა გაუმკლავდნენ საბაზრო სირთულეებს კერძოდ, მსხვილი ფირმების კონკურენციას და სხვა საბაზრო სირთულეებს და დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნილებები.

**კვლევის ნაშრომის მიზანი და ამოცანები** ნაშრომის ძირითადი მიზანია შევისწავლოთ ინოვაციების გავლენა ქართული ფირმების ეფექტიანობაზე, კერძოდ მწარმოებლურობაზე. ასევე, საქართველოს მაგალითზე ინოვაციების გავლენა მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტიანობაზე.

**საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება** კვლევის საგანია ინოვაციური პროცესები მცირე და საშუალო საწარმოები, ხოლო კვლევის ობიექტია ქართული მცირე და საშუალო საწარმოები

**კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი** საკვლევი თემის სირთულის, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომში უპირატესად გამოყენებულია კვლევის სისტემური, ანალიზური, ისტორიული და სტატისტიკური მონაცემები.

**საკითხის შესწავლის გამოყენებული ძირითადი წყაროების მოკლე მიმოხილვა** ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს, როგორც ქართული ისე უცხოური სტატისტიკური მონაცემები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატი“-ს მონაცემები და ასევე აღსანიშნავია, სხვადასხვა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით.



# თავი 1. კვლევის თეორიული საფუძვლები

## 1.1 . მცირე და საშუალო ბიზნესის შიდა და გარე გარემოს დახასიათება

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მცირე მეწარმეობის არსი, ჩვენი აზრით, უნდა გამოვყოთ სამეწარმეო გარემოს ნიშნები. ცხადია, მცირე საწარმოს შიდა გარემო წარმოადგენს ფუნქციონალური დარგების ერთობლიობას, სადაც ყოველ მათგანს გააჩნია საქმიანობის განსაკუთრებული ობიექტი, ტექნოლოგია, ურთიერთობები. ისინი შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: წარმოების პროცესის სტადიები: მომარაგება, საკუთრივ წარმოება, გასაღება; მმართველობითი ციკლის ფაზები: დაგეგმვა, ოპერატიული მართვა (ორგანიზაცია, კოორდინაცია, მოტივაცია), როგორც თავად კონტროლი ასევე, ბუღალტრული კონტროლიც. ორგანიზაციის შიდა გარემოს ყველა შემადგენელის ცოდნა, ერთი მხრივ, მეწარმეს აძლევს საშუალებას სწორად და დროულად გაანაწილოს ძალისხმევა, რათა მათი უკუგების ეფექტიანობა უწყვეტად მაღლდებოდეს, ხოლო, მეორე მხრივ, - მკაფიოდ და კვალიფიციურად დაადგინოს და გადაჭრას წარმოქმნილი პრობლემები.

გარე გარემო შეიძლება განვმარტოთ, როგორც იმ ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მცირე საწარმოზე გარედან. ზოგადად მათზეა დამოკიდებული მცირე საწარმოს განვითარება და ფუნქციონირება, რადგან ზოგიერთი ფაქტორი შეიძლება სტიმულს აძლევდეს მათ განვითარებას, ზოგიერთი კი აფერხებდეს მას. მაგალითად, კანონმდებლობა - გარე გარემოს ელემენტია. თუკი კანონმდებლობის რეალური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს არასტაბილურად და არაქმედითად, მაშინ იგი შემაფერხებელი ფაქტორი გახდება მცირე ბიზნესის განვითარებისთვის. გარე გარემოს ძირითადი ელემენტებია: ეკონომიკური პირობები, რომელშიც მიმდინარეობს სამეწარმეო საქმიანობა. ბიზნესის განვითარებისთვის იგი შეიძლება იყოს ხელსაყრელი და არახელსაყრელი. მათ შორისაა: 1) ეკონომიკური კონიუნქტურა, ინფლაციის ტემპი, საპროცენტო განაკვეთის დონე, კაპიტალთან წვდომის შესაძლებლობა; 2) ბაზრების

ერთობლიობა, რომელთა შორისაც შეიძლება გამოვყოთ რესურსების ბაზრები: წარმოების საშუალებების ბაზარი, ინფორმაციის, ფინანსების, მუშახელის და გასაღების ბაზრები; 3) სოციალური და პოლიტიკური პროცესები და ქვეყნის კულტურული თავისებურებები. მათ მიეკუთვნება: დამნაშავეობა, პოლიტიკური და ეკოლოგიური სიტუაცია ქვეყანაში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მეწარმეთა კულტურისა და კვანთალების დონე; 4) სამართლებრივი ბაზა. მოცემულ შემთხვევაში საუბარია დოკუმენტების პაკეტზე, საკანონმდებლო აქტებზე, კოდექსებზე, რომლებიც განსაზღვრავენ თამაშის წესებს ბაზარზე და არეგულირებენ ურთიერთობებს ეკონომიკურ აგენტებს შორის მათი საქმიანობის პროცესში; 5) მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა, წარმოადგენს იმ ორგანოების სტრუქტურას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მცირე მეწარმეობის სუბიექტების საქმიანობაზე, ასევე სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა მხარდაჭერის ფორმების განხორციელებაზე.<sup>1</sup>

## **მცირე და საშუალო საწარმოებში ბიზნესის წარმართვის თავისებურებები**

ამ სფეროში ჩატარებულია ფართო გამოკვლევები და ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ არსებობს წარმატებული მეწარმის ძირითადი მახასიათებლები. ესენია:

- მაღალი მოტივაცია;
- მოქნილობა და ინოვაციისაკენ მიდრეკილება;
- რისკზე წასვლისთვის მზადყოფნა;
- სიტუაციის განსჭვრეტის უნარი;
- კარგი დაგეგმვის უნარი და ორგანიზაციული თვისებები;
- უნარი გამოიტანოს დადებითი დასკვნები განვლილი მუშაობის გამოცდილებიდან;
- ტექნიკური ცოდნა;
- მაღალი შრომისუნარიანობა;
- სიახლეებისკენ სწრაფვა;

---

<sup>1</sup> მიხეილ კიკნაძე., თემა: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ლათინური ქვეყნების გამოცდილება და მისი ადაპტირების შესაძლებლობები საქართველოში, დისერტაცია, 2016 წელი.

- საკუთარი ფინანსური რესურსების არსებობა.

ნებისმიერი ფირმის წარმატების ძირითადი ფაქტორებია- ხელმძღვანელის კომპეტენტურობა და მისი პირადი თვისებები. კვლევებმა აჩვენა, რომ წარმატებულ მეწარმეებს ბევრი საერთო პიროვნული თვისება აქვთ. მათგან ყველაზე გამორჩეულია თვითრწმენა. მათ გააჩნიათ არა მხოლოდ განსაკუთრებული რწმენა საკუთარი თავისა, არამედ სჯერათ საკუთრი შესაძლებლობების, თვითი იდეების განხორციელების, აარსებენ ბიზნესს და ენდობიან საკუთარ ინტუიციას მტელი საქმიანობის მანძილზე. მცირე საწარმოები რთულ კონკრეტულ გარემოში იმყოფებიან. ხშირ შემთხვევაში ან კონკურენციის ომში იმარჯვებენ ისინი, ვისაც გამორჩეული თვითრწმენა გააჩნიათ.<sup>2</sup>

**გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები:**

მსს-თვის გრძელვადიანად ითვლება ის მიზნები, რომელთა განხორციელება საჭიროა 3-5 წელიწადში. ეს ფირმის სტრატეგიული მიზნებია, რომლებსაც შეიმუშავებს ფირმის ხელმძღვანელობა. მოკლევადიანი მიზნები, თავისი ბუნებით უფრო ორიენტირებულია ფირმის საქმიანობის ფინანსულ მხარეზე. მცირე ბიზნესისთვის უფრო დამახასიათებელია მოკლევადიანი მიზნები. გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს ლოგიკური კავშირი, რადგან ჩვეულებრივ, მოკლევადიანი მიზნების დანიშნულება გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციაა. ხელმძღვანელი უნდა ინარჩუნებდეს ბალანსს თავისი კომპანიის გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს შორის.

**მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესობები:**

თითქმის მთელ მსოფლიოში მცირე და საშუალო წარმოებები ძირითად როლს თამაშობს ხალხის სამუშაო ადგილით დასაქმებაში, ინოვაციურ წამოწყებებში, კონკურენციის უზრუნველყოფაში და ეკონომიკური სიმდიდრის შექმნაში. ამ წარმოების სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს მათ წინსვლასა და ზრდას, დაფუძნებულ უნდა იყოს

---

<sup>2</sup> გ. იაშვილი, სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში, თბილისი, 2009წ.

ტექნოლოგიურ ან კომერციულ ინოვაციებზე, ან ფოკუსირებულ (ნიშურ) სტრატეგიაზე შემოთავაზებულ პროდუქტების ან მომსახურების დიფერენციაციაზე.

### **მცირე და საშუალო ბიზნესის ნაკლოვანებები:**

მცირე ბიზნესის მრავალი უპირატესობის მიუხედავად მას აქვს ასევე მრავალი სუსტი მხარეები, რომლებსაც მიეკუთვნება გაყიდვების მოცულობების ცვლილება-რყევა, კონკურენცია, ხელმძღვანელის მოვალეობების სფეროს მუდმივი გაფართოება, შესაძლებელი ფინანსური დანაკარგი, თანამშრომლებს შორის ურთერთდამოკიდებულების კანონმდებლობის შეზღუდვა და რეგლამენტირება, ასევე მარცხის რისკი. ბიზნესი ეჯახება გაყიდვების მოცულობათა რყევის პრობლემას, რაც უარყოფითად მოქმედებს ფულადი სახსრების მოძრაობის ბალანსზე. გაყიდვების მოცულობის ცვლილება დამოკიდებულია სეზონზე-ხანდახან ეს მოცულობა მაღალია, სხვა დროს კი იგი მკვეთრად ეცემა. წარმოების ხელმძღვანელებმა აუცილებელია დააბალანსონ ფულადი სახსრების ბრუნვა ( შემოსავალი და გასავალი) რათა უზრუნველყონ საკმარისი ფინანსები ბიზნესის ყოველდღიური საჭიროებისათვის.<sup>3</sup>

## **1.2 მცირე და საშუალო საწარმოების არსი და კრიტერიუმები**

მცირე ბიზნესის განვითარება საბაზრო-კონკურენტული მეურნეობის თანამედროვე მოდელის არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მსბ-ის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ჰარმონიული განვითარება, რადგან იგი განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს. მცირე ბიზნესის პრობლემების შესწავლა შეუძლებელია თავად ცნების, მისი არსისა და ფუნქციების განმარტების გარეშე. დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება აღნიშნული ცნების სხვადასხვაგვარი განმარტება და იგი ხშირად სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვით გამოიყენება. რომის სამართალში „მეწარმეობა“ განიხილებოდა როგორც

---

<sup>3</sup> გ.იაშვილი, სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში, თბილისი, 2009წ.

საქმიანობა, საქმე, განსაკუთრებით კომერციული. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც სერიოზულად დაინტერესდა მეწარმეობით, იყო ა. სმიტი. თუმცა, მანამდე დაახლოებით 10 წლით ადრე ამ პრობლემებით ინტენსიურად იყო დაინტერესებული რ. კანტილიონი. სწორედ მან უწოდა ბაზრის ამ სუბიექტებს მეწარმეები (ფრანგულ ენაში ეს ტერმინი შუამავალს ნიშნავს), ხოლო ახალ სამეურნეო საქმიანობას - მეწარმეობა.

თანამედროვე თეორიაში შეიძლება გამოვყოთ მეწარმეობის შემდეგი განმარტებები: 1) მეწარმეობა როგორც საკუთრებითი ურთიერთობების შედეგი (კლასიკური პოლიტიკური ეკონომია); 2) მეწარმეობა როგორც წარმოების ორგანიზაციული ფაქტორი (ნეოკლასიკური სკოლა); 3) მეწარმეობა როგორც განვითარების ინოვაციური ფაქტორი (ი. შუმპეტერი, პ. დრუკერი, ი. კირცნერი და სხვ.); 4) მეწარმეობა როგორც სარისკო საქმიანობა (ფ. ნაიტი, რ. კანტილიონი, ი.გ. ტიუნენი და სხვ.)<sup>4</sup>

მეწარმეობა როგორც წარმოების ორგანიზაციული ფაქტორი, პირველად გამოყო ფრანგმა მეცნიერმა ჟ.-ბ სეიმ, რომელსაც მიაჩნდა, რომ მეწარმე ის პირია, რომელიც თავის ხარჯზე და რისკის ფასად, ასევე საკუთარი სარგებლისთვის იწყებს რაიმე პროდუქტის წარმოებას“. ამრიგად, ჟ.-ბ. სეის თანახმად, მეწარმის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მოგების მისაღებად გააერთიანოს წარმოების ფაქტორები, მოახდინოს მათი კომბინირება.

მეწარმეობა განვითარების ინოვაციურ ფაქტორად გამოყვეს და წინა პლანზე წამოწიეს პ. დრუკერმა, ი. შუმპეტერმა . პირველად ი. შუმპეტერმა დაახასიათა მეწარმე როგორც ნოვატორი და მის ამოცანად დაასახელა ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების, ახალი მეთოდების, საქონლის წარმოებისთვის ნედლეულის ახალი წყაროების და ახალი ბაზრების ძიება. ამგვარად, მეწარმეობა აერთიანებს სამ ელემენტს: ორგანიზაციულ ქმედებას, ცვლილებების ინიცირებას და ფულად შემოსავალს - როგორც მიზანს და წარმატების კრიტერიუმს. განვიხილოთ მცირე და საშუალო საწარმოები ეკონომიკის სტრუქტურაში. საწარმოების სიდიდე ასევე დამოკიდებულია დარგების სპეციფიკაზე, მათ

---

<sup>4</sup> მიხეილ კიკნაძე., თემა: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ლათინური ქვეყნების გამოცდილება და მისი ადაპტირების შესაძლებლობები საქართველოში, დისერტაცია, 2016 წელი.

მეცნიერებატევადობასა და ტექნოლოგიურ თავისებურებებზე, მასშტაბურობის ეფექტის მოქმედებაზე, წარმოების კონცენტრაციაზე.

მცირე ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ბარიერები პირობითად შეიძლება დავყოთ შიდა და გარე ბარიერებად. ნეგატიური გარე ბარიერები ძირითადად დაკავშირებულია სამართლებრივი სისტემის, საკუთრებრივი ურთიერთობების განუვითარებლობასთან, მეწარმის სუსტ დაცულობასთან, მაკროეკონომიკური სიტუაციის არაპროგნოზირებადობასთან, საფინანსო ინფრასტრუქტურის არაადეკვატურობასა და ბაზრებზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ მონოპოლიზმთან. შიდა ბარიერები - სამეწარმეო და მენეჯერული კულტურის, ძველი სტრუქტურის მემკვიდრეობისა და ეკონომიკური განვითარების შინაარსის დაბალი დონის მაჩვენებელია.

განსაკუთრებით ბევრია მცირე და საშუალო საწარმოები საცალო ვაჭრობაში, ასევე სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან და სამომხმარებლო საქონლის წარმოებასთან დაკავშირებულ დარგებში. მცირე ბიზნესის კვალდაკვალ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში შენარჩუნებულია საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვანი როლი. საშუალო ბიზნესს არ გააჩნია განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი. მას შუალედური მდგომარეობა უკავია მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა პოლუსებზე იმყოფებიან და მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნიათ. მცირე და საშუალო საწარმოები იქმნება ისეთ დარგებში, რომლებსაც არ სჭირდება მნიშვნელოვანი კაპიტალი, დიდი მოცულობის და ძვირადღირებული მოწყობილობები და დასაქმებულთა დიდი რაოდენობა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განმარტების ერთიანი საერთაშორისო კრიტერიუმები ამჟამად არ არსებობს.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველაზე ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები მიეკუთვნებიან მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტებს, შემდეგია: პერსონალის

რაოდენობა, საწესდებო კაპიტალის ზომა, აქტივების ოდენობა, წლიური ბრუნვის მოცულობა. ასე, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც შედის ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები, საწარმოებს, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა 19 ადამიანამდეა, მიიჩნევს „მიკრო“ საწარმოებად, 99 ადამიანამდე - „მცირედ“, 100-დან 499 ადამიანამდე - „საშუალოდ“ და 500-ზე მეტი დასაქმებულთა რიცხვით - „მსხვილ“ საწარმოებად.<sup>5</sup>

### 1.3 ინოვაციური პროცესები მცირე და საშუალო საწარმოებში

ბოლო რამდენიმე საუკუნეში კაცობრიობა არნახული პროგრესის მოწმე გახდა. საუკუნეების მანძილზე ფაქტიურად არ იცვლებოდა ტექნოლოგიები და შესაბამისად დოვლათის წარმოების წესი. ბოლო პერიოდში კი მეცნიერების განვითარებამ კაცობრიობას მისცა ახალი სამეურნეო ცოდნა. პროგრესი განსაკუთრებულად თვალშისაცემი გახდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მეცნიერება ბიზნესის შემადგენელ ნაწილად იქცა, ხოლო ცოდნამ უშუალოდ წარმოებაში ფუნქციონირებადი ინტელექტუალური რესურსის ფორმა მიიღო.

ბიზნესში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამოყენების პროცესი ინოვაციის ცნებით გამოიხატება.

**ინოვაცია** - ესაა პრინციპულად ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონლის წარმოების, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის თვისებრივი სრულყოფის პროცესი.

ამ პირობებში, ფირმის ინოვაციური საქმიანობა გულისხმობს თვისებრივად ახალი სამეცნიერო ცოდნის კრისტალიზაციას უახლეს პროდუქტებად, ტექნიკად, ტექნოლოგიად, ბიზნესის და წარმოების მართვის მეთოდებად.

---

<sup>5</sup> მსხვილ კიკნამე., თემა: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ლათინური ქვეყნების გამოცდილება და მისი ადაპტირების შესაძლებლობები საქართველოში, დისერტაცია, 2016 წელი.

ინოვაციური ბიზნესი უახლესი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე დაფუძნებული საქმიანობაა, რასაც არამარტო მოგება მოაქვს, არამედ ეს ბაზარზე გადარჩენის ეფექტური გზაცაა.

ინოვაციური ბიზნესის ნიშნები. თანამედროვე პირობებში ინოვაციური ბიზნესის შემდეგ ნიშნებს გამოყოფენ:

1. ინოვაციური საქმიანობის შედეგები არსებითი სიახლეებით ხასიათდებიან; 2. ინოვაციები საბაზრო მოთხოვნის იმ ნაწილს აკმაყოფილებენ, რაც ტრადიციული მეთოდებით ვერ მიიღწეოდა; 3. ინოვაციები დარგში ჩამოყალიბებული მოგების საშუალო ნორმაზე გაცილებით მაღალი რენტაბელობის მიღწევისა და ბიზნესმენის მიერ სამეწარმეო, ანუ, ეკონომიკური მოგების მიღებას უზრუნველყოფს; 4. ინოვაციები რისკიანობის განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩევიან, რადგან, ასეთი საქმიანობა ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროში ძიების პროცესთანაა დაკავშირებული.

ინოვაციური ბიზნესის მაღალ რისკიანობას შემდეგი გარემოებანი განაპირობებს:

1. სიახლეების ძიებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების პირობებში სასურველი შედეგების და ამ საფუძველზე მაღალი მოგების მიღების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია, რადგან წარმატებით მხოლოდ მათი მცირე ნაწილი სრულდება;<sup>6</sup>
2. ინოვაციური საქმიანობის შედეგები ხშირად იმდენად უსწრებენ ბიზნესის არსებულ ტექნიკურ დონესა და ტექნოლოგიებს, რომ მათ შორის სრული შეუთავსებლობა ფორმები ფირმაში იქმნება. ცხადია, ასეთ ინოვაციებზე საბაზრო მოთხოვნა შეძლება მხოლოდ გაურკვეველ მომავალში წარმოიშვას.

---

<sup>6</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-OutfZz-8-00&cl=CL1.12&d=HASH9ce6835e5954839ec94381.11.1&gt=1>

სტატიის ავტორი: აზიკო სისვაძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის სრული პროფესორი.



ინოვაციური საქმიანობის პრინციპები. ინოვაციურ ბიზნეს საქმიანობას მოქმედების შემდეგი წესები, ანუ პრინციპები უდევს საფუძვლად:

- ინოვაციური საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს არა ლოკალურად, არამედ როგორც სამეწარმეო სუბიექტის საქმიანობის ორგანული ნაწილი და მისი მოღვაწეობის ყველა მიმართულებას კომპლექსურად მოიცავდეს;
  - ინოვაციური საქმიანობას ტრადიციულად შედარებით უპირატესობა ენიჭება;
  - ინოვაციური პროექტები ისე იგეგმება, რომ ტრადიციულ საქმიანობასთან შედარებით უფრო მაღალი მომგებიანობა უზრუნველყოს;
- ინოვაციური საქმიანობა სამეწარმეო სუბიექტს მოცემულ დარგში მაღალი კონკურენტუნარიანობისა და ლიდერობის მიღწევის შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს;
- ინოვაციები რეალური და განხორციელებადი უნდა იყოს. ე.ი. სამეწარმეო სუბიექტის წარმოების, ტექნიკის, ტექნოლოგიების, აგრეთვე მენეჯმენტის მიღწეული დონე და ფინანსური პოტენციალი ინოვაციების დანერგვისთვის საკმარისია.<sup>7</sup> ეკონომიკის მეცნიერებაში ინოვაციების მრავალ ფორმას განიხილავენ, რომელთა შორის ძირითადი შემდეგი ნიშნების მიხედვით კლასიფიცირდება (იხ. სქემა 1):
- საქმიანობის სფეროების მიხედვით, არსებობს პროდუქტული ტექნოლოგიური და მმართველობით-ორგანიზაციული ინოვაციები, რომლებიც იმავდროულად ინოვაციათა ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ;

---

<sup>7</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-OutfZz-8-00&cl=CL1.12&d=HASH9ce6835e5954839ec94381.11.1&gt=1>

სტატიის ავტორი: აზიკო სისვაძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

- სიახლის სიღრმის მიხედვით განიხილება რადიკალური, გაუმჯობესებელი და ფსევდონოვაციები;
- სიახლის მასშტაბების მიხედვით გამოყოფენ მსოფლიო მნიშვნელობის დარგობრივ ინოვაციებს, ქვეყნის არეალის დარგობრივ ინოვაციებს და საფირმო სასშტაბის ინოვაციებს;
- ფირმის საქმიანობის მოცვის მასშტაბების მიხედვით ინოვაციები შეიძლება იყოს ლოკალური, სისტემური და სტრატეგიული.

ინოვაციები საქმიანობის სფეროების, საქმიანობის მასშტაბების, სიახლის მასშტაბების და სიახლის სიღრმის მიხედვით:

სქემა 1



რადიკალური ანუ საბაზისო ინოვაციები გულისხმობს მწარმოებლურობისა და ფასის მიხედვით ადრე უცნობი ან არსებითად გაუმჯობესებული სამომხმარებლო და კაპიტალური საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიების და სხვა სიახლეთა შექმნა

დანერგვას, რომლებიც პრინციპულად ახალ ფუნდამენტურ ცოდნას, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტას ემყარებიან. შესაბამისად, ისინი სათავეს უდებენ ტექნიკისა და ტექნოლოგიის ახალი თაობის წარმოშობასა და განსაზღვრავენ მათი განვითარების მიმართულებას. ეს ცვლილებები იმდენად ღრმაა, რომ არსებული დარგისა და შესაბამისი ბაზრის რადიკალური გარდაქმნას იწვევს. (იხ. სქემა 1)

ახლო წარსულში ასეთი ინოვაციების მაგალითებია კომპიუტერის, მობილური ტელეფონისა და თხევად-კრისტალური ტელევიზორების გამოგონება.

გაუმჯობესებული ინოვაციები დაკავშირებულია რადიკალური ინოვაციების ძირითადი ობიექტების პროგნოზირებად და თანდათანობით ევოლუციურ სრულყოფასთან, რაც არსებული ცოდნის, ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტის ფარგლებში ხორციელდება. ასეთ ინოვაციებად შეიძლება მივიჩნიოთ ზემოთდასახელებული საქონელთა ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება და მათი წარმოების ხარჯების შემცირება, რომლის მოწმენიც საკმაოდ ხშირად ხვდებით.

ფსევდოინოვაციებში იგულისხმება ისეთი ნაწილობრივი არაარსებითი გარეგნული და ტექნიკური სრულყოფა, რომლებიც მნიშვნელოვნად არ ცვლიან ნაკეთობის კონსტრუქციას, მის სამომხმარებლო პარამეტრებსა და წარმოების ხარჯებს. მიჩნეულია, რომ ასეთი ინოვაციები წარმოადგენენ უკვე მორალურად მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების უშედეგო ცდებს, რითაც ახალ ტექნოლოგიურ გადაწყვეტებს აფერხებენ. ასეთი ინოვაციის მაგალითია ნაკეთობის დიზაინის გაუმჯობესება, ან რომელიმე დეტალის შეცვლა ტექნიკური სრულყოფის, ან გაიფების თვალსაზრისით.

პროდუქტიული ინოვაციები დაკავშირებულია ახალი, ან არსებითად გაუმჯობესებული კაპიტალური და სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე მომსახურების შექმნასა, წარმოებას და ბაზარზე გატანასთან. ასეთი პროდუქტები ტრადიციულისგან განსხვავდება ფუნქციონალური დანიშნულებით, მაღალი სამომხმარებლო თვისებებით, დამზადების

უნიკალური ტექნოლოგიით, კონსტრუქციით, ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებით და გამოყენებული მასალებით.

პროცესული, ანუ ტექნოლოგიური ინოვაცია გულისხმობს სრულიად ახალი, ან არსებითად გაუმჯობესებული წარმოების მეთოდების შექმნას და პრაქტიკულ გამოყენებას, რასაც ფორმის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და ხარჯების შემცირება მოსდევს შედეგად. მზგავსი ტექნოლოგიის შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე ისეთი პროდუქტიული ინოვაციების დანერგვის საჭიროებამ, რომლის განხორციელება ტრადიციული ტექნოლოგიით შეუძლებელია. როგორც წესი, ტექნოლოგიურ ინოვაციებს საფუძვლად უდევს ახალი ფუნდამენტური სამეცნიერო აღმოჩენები და გამოგონებანი, რომლებიც პროდუქტის წარმოების პრინციპს არსებითად ცვლიან.(იხ.სქემა 1)

მმართველობით-ორგანიზაციული, ანუ, ინოვაციური მენეჯმენტი გულისხმობს მართვის ისეთი სისტემის შექმნას, რასაც შედეგად მოსდევს მისი გაიაფება, ოპერატიულობისა და მოქნილობის ამაღლება, ოპტიმალურობა და მომგებიანობის არსებითი ზრდა. ინოვაციის ამ ფორმის შემდეგ მიმართულებებს გამოყოფებ:

- პრინციპულად ახალი საფირმო სტრატეგიის შეემუშავება და განხორციელება;
- მართვის ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა;
- წარმოებისა და მართვის პრინციპულად ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა;
- საქონლის ხარისხის მართვისა და კონტროლის ახალი სისტემის დანერგვა;
- ლოგისტიკისა და მომარაგების ახალი სრულყოფილი სისტემების დანერგვა;

ინოვაციური საქმიანობის ისეთი მოქნილი ორგანიზაციული ქვესტრუქტურების შექმნა, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საცდელ-საკონსტრუქტორო და დანერგითი სამუშაოების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.<sup>8</sup>

ცნობილია, რომ ინოვაციური საქმიანობა განსაზღვრული ციკლებით ხორციელდება, რომელთა მოდელის შერჩევა თვითონ სამეწარმეო სუბიექტზეა დამოკიდებული. კერძოდ, ბიზნესის თეორიაში ინოვაციური საქმიანობის ორ მოდელს განასხვავებენ - **ხაზობრივს და ინტერაქტიურს.**

ხაზობრივი ინოვაციური მოდელი. ასეთი მოდელის პირობებში ინოვაციური საქმიანობა მკაცრად განსაზღვრული ლოგიკური თანმიმდევრობით შემდეგ ეტაპებად მიმდინარეობს (იხ. სქემა 2)

### ხაზობრივი ინოვაციური მოდელი

სქემა 2



<sup>8</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-OutfZz-8-00&cl=CL1.12&d=HASH9ce6835e5954839ec94381.11.1&gt=1>

სტატიის ავტორი: აზიკო სისვამე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

1. **ფუნდამენტური კვლევები**, რომლებიც თეორიული, ან ექსპერიმენტული საქმიანობის ფორმით ხორციელდება. მათ უშუალო პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნიათ და საზოგადოების, ადამიანის, ეკონომიკის და ბუნების ადრე უცნობ კანონზომიერებათა აღმოჩენაზე არიან მიმართულნი. კვლევის შედეგები სამეცნიერო აღმოჩენების სახით ფორმდება, მათ უშუალო კომერციული ღირებულება არ გააჩნიათ და თვითონ მეცნიერების მოცემული დარგის განვითარებას ემსახურებიან, ან მომავალი გამოყენებითი კვლევებისათვის თეორიულ საფუძველს ქმნიან;<sup>9</sup>

2. **გამოყენებითი კვლევები**, რომლებსაც გამიზნულად, კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად წინასწარგანსაზღვრული კომერციული სარგებლის მიღების მიზნით ახორციელებენ;

3. **საცდელ-საკონსტრუქტორო** სამუშაოებს საფუძვლად უდევს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების პირობებში დაგროვილი ცოდნა. იგი მოიცავს ტექნიკური დოკუმენტაციის, პროექტების, ნახაზების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, საცდელი ნიმუშებისა და მათი გამოცდის პროცესს. მისი საბოლოო შედეგებია ახალი საქონელი, მომსახურეობა, მასალები, ტექნიკა, ტექნოლოგიები და საწარმოო მეთოდები;

4. **ათვისებისა და სამრეწველო წარმოების** პირობებში ფირმა ინოვაციების მასობრივი გამოყენების ეტაპზე გადადის, სადაც მათი სასარგებლო ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტი მხოლოდ პოტენციის სახით გამოვლინდება;

5. **მარკეტინგული საქმიანობისა და გასაღების ეტაპი**, რომელიც ინოვაციების სისტემურობის პრინციპიდან გამომდინარე ასევე ინოვაციური ბუნებისა უნდა იყოს, რომლის დროსაც მარკეტინგის უახლესი მეთოდები პრაქტიკულად გამოიცდება. ამ ეტაპზე

---

<sup>9</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.12&d=HASH9ce6835e5954839ec94381.11.1&gt=1>

სტატიის ავტორი: აზიკო სისვაძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის სრული პროფესორი.


ინოვაციების ეფექტი, თუ იგი რეალურად არსებობს, ზემოგების სახით ვლინდება.(იხ.სქემა 2)

მიჩნეულია, რომ ხაზობრივი ინოვაციური მოდელის ძირითად ნაკლს მისი მოუქნელობა და უაღრესად დინამიური ბიზნეს-გარემოს ცვალებადობის გაუთვასწინებლობა შეადგენს. ამასთან, იგულისხმება, რომ იგი თვითდინებით დამოუკიდებლად მუშაობს და სასურველ შედეგებამდე აქტიური ჩარევის გარეშე მივყავართ, რაც ყოველთვის არ ხდება. ამიტომ, ამჟამად უპირატესობას ინტერაქტიურ ინოვაციურ მოდელს ანიჭებენ.

**ინტერაქტიური ინოვაციური მოდელი.** ასეთი მოდელის პირობებში ინოვაციების განხორციელების მკაცრი ტრადიციული თანმიმდევრობა დარღვეულია იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროების შესაბამისად წინა ეტაპებს კვლავ უბრუნდებიან. ასეთი შეიძლება იყოს:

წინასწარ გაუთვალისწინებელი ისეთი პრობლემების წარმოშობა, რომლებიც ეფექტურად მხოლოდ წინა ეტაპებზე მომუშავე სპეციალისტებთან მჭიდრო კავშირში გადაიჭრება. კერძოდ, შესაძლოა პრინციპულად ახალი იდეები ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მომდევნო სტადიაზეც გაცნდნენ, რამაც წინა სტადიის კვლევების გადახედვა, ან თავიდან დაწყება მოითხოვოს. არ არის გამორიცხული, რომ კონსტრუქციული ხასიათის პრობლემებმა გაყიდვის შემდგომი მომსახურებისა და რემონტის პროცესში იჩინონ თავი, ხოლო, საცდელი მარკეტინგული კვლევების განხორციელების საჭიროება ჯერ კიდევ სამეცნიერო მუშაობისა და საპროექტოსაცდელი დამუშავების სტადიებზე წარმოიშვას (იხ. სქემა 3).

### ინტერაქტიური ინოვაციური მოდელი



სქემა 3

ინტერაქტიური ინოვაციური მოდელის უპირატესობას შეადგენს მისი მაღალი ეფექტიანობა ინოვაციური საქმიანობის კოორდინაციის, სიახლეთა დონის, მომგებიანობის, ხარჯებისა და დროის ეკონომიის თვალსაზრისით. (იხ.სქემა 3)

ინოვაციური ბიზნესის წამოწყებისთვის მხოლოდ სურვილი საკმარისი არაა. საამისოდ სამეწარმეო სუბიექტმა უპირველესად შესაბამისი საკმაოდ ძვირადღირებული ინოვაციური პოტენციალი უნდა შექმნას, რომელიც შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს მოიცავს.<sup>10</sup>

მცირე და საშუალო ბიზნესი ევროკავშირის ქვეყნების ბიზნესის 99 პროცენტს შეადგენს. ეს მართლაც შთამბეჭდავი რიცხვი უდაოდ მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობის ფენომენთან ასოცირდება ბიზნესის ეს სეგმენტი.

<sup>10</sup> <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1---0-10-0---0---0prompt-10--4-----0-11-11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.12&d=HASH9ce6835e5954839ec94381.11.1&gt;1>

სტატის ავტორი: აზიკო სისვაძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის სრული პროფესორი.



თუმცა, მცირე ბიზნესი იმიტომაც არის მცირე, რომ მას არ გააჩნია სათანადო რესურსები, უნარები და ფინანსები, რათა გაუმკლავდეს იმ დიდ გამოწვევებს, რომლებსაც საზოგადოების განვითარება წარმოშობს. არაერთი გამოკვლევა ცხადყოფს, რომ წარმოების განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაში უმთავრესი პრობლემაა, რაც ხელს უშლის მათ სხვა რესურსების მობილიზებასა და განვითარებაში.<sup>11</sup>

პრობლემის უკეთ გაანალიზებასა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, 2008 წლიდან ევროკომისია და ევროპის ცენტრალური ბანკი ყოველწლიურად ატარებენ ფინანსებზე წვდომის გამოკვლევას, რომელიც საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას იძლევა ამ საკითხში საწარმოების მდგომარეობისა და მათი მისდამი დამოკიდებულების შესახებ. 2014 წლის გამოკვლევის შედეგად, ევროკავშირის მასშტაბით გადაფინანსების სიმწირე - ბიზნესის განვითარების მთავარი ბარიერი მოკვლეული საწარმოები საკუთარი ბიზნესისათვის ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის მეხუთე ადგილზე ფინანსებზე წვდომის არასაკმარისობას (13 პროცენტი) ასახელებენ. თუმცა, არანაკლები პრობლემაა მომხმარებლის პოვნა, დასაქმებულთა/მენეჯერთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, რეგულაციები, კონკურენცია და სხვ.

საქართველოში ანალოგიური პრობლემის კვლევა, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, არ ტერდება. თუნცა, მსოფლიო ბანკის ეგიდით 3-4 წელიწადში ერთხელ ტარდება მცირე, საშუალო და დიდი საწარმოების შერჩევითი გამოკვლევა, რომლის მონაცემები კარგად უჩვენებს, თუ რამდენად მწვავეა ფინანსებზე წვდომის პრობლემა ამ საწარმოებში, რამდენად ხშირად სარგებლობენ საწარმოები ბანკის სესხებით, რა უშლით მათ ხელს დაფინანსების ამ წყაროს გამოყენებაში და ა.შ.

ევროკავშირის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა, რასაც იგი მთელი რიგი პროგრამების მეშვეობით

---

<sup>11</sup> [https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015\\_2/statia4.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia4.pdf)

ახორციელებს. ყოველწლიურად მის მიერ დაფინანსებული ბიზნესის რაოდენობა 200 ათასს აჭარბებს.

ევროკავშირი თავაზობს ახალი თაობის ინოვაციურ ფინანსურ ინსტრუმენტებს წევრ ქვეყნებში მოქმედ საწარმოებს რათა ხელი შეუწყოს მათ განვითარებას და ინოვაციური საქმიანობის განხორციელებას.<sup>12</sup>

ცხადია ინოვაციური პროცესები და ქვეყანაში ინოვაციური სისტემების ფორმირება სოციალურ და ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებულ მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ კონკურენტუნარიანობას და ბიზნესის კომერციულ წარმატებას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს კომპანიების მიერ სამეცნიერო კვლევების ჩატარებისა და ინოვაციების შექმნის უნარი.<sup>13</sup>

ცნობილია, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგრძნობი წვლილი შეაქვთ მთლიანი პროდუქტიულობის ზრდაში, რის 20% უშუალოდ ინფორმაციულსაკომუნიკაციო სექტორისაგან მოდის, 30% კი - ამავე სექტორში განხორციელებული ინვესტიციებითაა განპირობებული. კვლევებით დადგენილია, რომ ფინანსური კრიზისების ქვეყნების ეკონომიკა უფრო ართმევს თავს, რომელიც აქტიურად იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

ცოდნის ეკონომიკაში ყველაზე ფასეული აქტივი ინტელექტუალური კაპიტალია ტექნოლოგიური, ტექნიკური და მმართველობითი სიახლეები, დაფუძნებული მეცნიერულ მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებაზე, ასევე მატერიალიზირებული და ბაზრის მიერ აღიარებული უახლესი სამეცნიერო იდეები.<sup>14</sup>

---

<sup>12</sup> [https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015\\_2/statia4.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia4.pdf)

<sup>13</sup> <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Economy/KapanadzeMaia.pdf>

<sup>14</sup> კაპანაძე მაია, კვანტალიანი მერაბი, ინოვაციური ტექნოლოგიები და ბიზნესის კონკურენტუნარიანობა <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Economy/KapanadzeMaia.pdf>

## თავი 2. ინოვაციის გავრცელება და მისი დეტერმინანტები

### 2.1 ინოვაცია, ინოვაციის დანერგვა და ეკონომიკური ზრდა

ინოვაციის გავრცელება მოიცავს საწყისი ახალი ტექნოლოგიის დანერგვას საწარმოს მიერ (ფირმებს შორის დიფუზია) და ინოვაციის შემდგომ გავრცელებას საწარმოს შიგნით (ფირმის შიდა დიფუზია) და არის პროცესი როდესაც საწარმოს ძველი ტექნოლოგია და ინფრასტრუქტურა იცვლება ახლით. გავრცელების სტადია არის ნაკლებადმნიშვნელოვანი ეტაპი ტექნოლოგიური ცვლილების პროცესის(სულ მცირე მას ნაკლები ყურადღება ექცევა კვლევის დღის წესრიგში და პოლიტიკის გამტარებლების მიერ). წვილი, რომელიც შექვეს ტექნოლოგიებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში განისაზღვრება იმ ტემპითა და ხასიათით რომლითაც ინოვაციები ვრცელდება შესაფერის პოპულაციაში. გავრცელების გარეშე ინოვაციას ექნებოდა მცირე ეკონომიკური და სოციალური გავლენა, თუმცა ის არის დამახასიათებელი ინოვაციური პროცესისთვის.

ფაქტობრივად, დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკურ ლიტერატურაში მთავარი ფოკუსი იყო ინოვაციურ პროცესზე ვიდრე ახალი იდეის კომერციალიზაციის პირველ მცდელობაზე. (Fagerberg, 2006). ცოდნის ნაკადები მოიცავს ტექნოლოგიის ტრანზფერს და know-how-ს ნაკადებს, ცოდნას და ინფორმაციას, როგორც შემთხვევით გარე ეფექტებს(ეკონომიკური ქმედების), ისე გამიზნულ ტრანსფერებს. არსებობს ბევრი ალტერნატიული გზა ცოდნის ნაკადების მატერიალიზებისთვის. ეს მოითხოვს საკომუნიკაციო არხს, მაგალითად, შექმნილი საერთო კავშირი ორ საწარმოს ორ მეცნიერს შორის და მექანიზმს, რომლითაც შეიძლება კომუნიკაციის დამყარება სპეციფიური არხის მეშვეობით, როგორცაა: ერთობლივი კვლევითი ძალისხმევა, არაფორმალური დისკუსიები ან მეცნიერის მიერ იდეების გამოხატვა.

Romer (1986) თეორიულ ნაშრომზე დაყრდნობით ბევრმა კვლევამ გაანალიზა დამოკიდებულება ინოვაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. (Lundvall, 1992; Nelson, 1992;

Nelson and Rosenberg, 1993; Verspagen, 1995), ემპირიულად დაადასტურეს პოზიტიური დამოკიდებულება ინოვაციასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. გლობალიზაციის ზრდასთან ერთად, საწარმოები იძულებული არიან პოკუსირება მოახდინონ პროდუქტისა და მომსახურების დიფერენციაციაზე ინოვაციების საშუალებით. ევროპის შემთხვევაში ინოვაცია სულუფრომეტად მიიჩნევა საწარმოების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისთვის გამოსაყენებელ იარაღად ცვალებად ეკონომიკურ პროცესებში. (Navarro et al, 2009).

### **ინოვაციების პროცესი მცირე და საშუალო საწარმოებში**

მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში. ისინი არიან ძირითადი წყარო სამუშაო ადგილების შექმნის, ინოვაციები დანერგვის, კონკურენციის გაზრდის და მათსადამე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის მამოძრავებელი.

საქართველოში 2018 წელს რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა იყო 681.4 ათასი, მათ შორის მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა იყო 162.1 ათასი. 2019 წლის 1 ივნისის მონაცემებით რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა არის 741811, მათ შორის აქტიური სუბიექტი - 168168. მათ შორის ყველაზე მეტი სუბიექტი დარეგისტრირებულია დამამუშავებელ მრეწველობაში - 29871, მოქმედია - 11027. მშენებლობაში - 17740, მოქმედი - 6892. საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი - 136311, მოქმედი - 54997. ყველაზე ცოტა სუბიექტი დარეგისტრირებულია ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 252, მოქმედი - 114. წყალმომარაგება, კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები - 756, მოქმედი - 149.

როგორ უნდა მივცეთ აღნიშნულ სექტორს განვითარების მოტივაცია მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესებით? ფირმის მასშტაბით, მნიშვნელოვანია წავახალისოთ ფირმის ოპერაციული ეფექტიანობა და მწარმოებლურობა კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საერთაშორისო ბაზარზე.

ინოვაცია აღმოჩნდა საციცოხლოდ მიშენელოვანი მწარმოებლურობის ზრდისთვის. დამადასტურებელი ფაქტები Crespi and Zuñiga (2012)<sup>15</sup> ში აჩვენებს რომ ტექნოლოგიური წინსვლა ხელს უწყობს საწარმოო რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, და ახალი იდეების გარდაქმნას ახალ პროდუქტებში, მომსახურებაში და საწარმოო პროცესებში. ინოვაცია არის საფუძველი მდგრადი კონკურენტული უპირატესობის და მწარმოებლურობის მუდმივად ზრდის წყარო. ჩატარდა ბევრი კვლევა ბევრ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნის მაგალითზე როგორცაა: Chudnovsky et al. (2006)<sup>16</sup>, Griffith et al. (2006), Masso and Vahter (2008), Roper and Love (2002); თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოები განვითარებად ქვეყნებში სათანადოდ არ განიხილება ინოვაციების გავლენა მათ მწარმოებლურობაზე. ასევე, არაა გასაკვირი რომ არსებობს მცირედი კვლევები ამ საკითხზე აზიურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ვიეტნამში. ეს ნაშრომი იკვლევს ინოვაციის გავლენას ფირმის მწარმოებლურობაზე მონაცემების გამოყენებით რომელიც ეხება ვიეტნამის 2500 მცირე და საშუალო საწარმოების(ვიეტნამის 10 პროვინციიდან) გამოკვლევას 2007- 2009 წლებში. ემპირიული კვლევა იყენებს კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციას ფიქსირებული ეფექტის მოდელთან ერთად, რომელიც იძლევა საინტერესო შედეგებს. ლიტერატურაზე დაყრდნობით ჩვენ აღმოვაჩინეთ ძლიერი კავშირი ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის ვიეტნამის მცირე და საშუალო საწარმოებში. შედეგები ასევე ხაზს უსვამს სხვა ფაქტორების გავლენას მათ შორის კავშირზე: ფირმის ზომა , მდებარეობა და საწარმოო სექტორი.

მწარმოებლურობა განისაზღვრება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შეფარდებით წარმოებაში შემავალ ფაქტორებთან. (Schreyer and Pilat, 2001). მწარმოებლურობა არის ტექნიკური ტერმინი რომელიც ზომავს გამოყენებული საწარმოო ფაქტორების შედეგად

---

<sup>15</sup> Crespi, G., Zuñiga, P. (2012), Innovation and productivity: Evidence from six Latin American countries. *World Development*, 40(2), 273-290.

<sup>16</sup> Chudnovsky, D., Lopez, A., Pupato, G. (2006), Innovation and productivity in developing countries: A study of Argentine manufacturing firms' behavior (1992-2001). *Research Policy*, 35(2), 266-288.

მიღებულ პროდუქტიულობას. მაღალი მწარმოებლურობა ზრდის მომგებიანობას და აუმჯობესებს ფირმის კონკურენტუნარიანობას კონკურენტებთან შედარებით. მაგრამ რატომ განსხვავდებიან ფირმები ასე მნიშვნელოვნად იმ უნარით, გარდაქმნან საწარმოო ფაქტორები პროდუქციაში. (Cobb and Douglas, 1928)<sup>17</sup>, თეორიის თანახმად, მწარმოებლურობა დამოკიდებულია შრომაზე, კაპიტალზე და მთლიან ფაქტორული მწარმოებლურობაზე. ზრდას შრომაში, კაპიტალში ან TFP ში მივყავართ გამოშვების ზრდამდე. როგორც შედეგი, განსხვავება საწარმოების ტექნოლოგიურ ინოვაციებში განაპირობებს ცვლილებას უნარში გარდაქმნან ფაქტორები პროდუქტად.

Greenhalgh and Rogers (2010)<sup>18</sup>, მიხედვით ინოვაცია არის ახალი იდეის გარდაქმნა ახალ პროდუქტში, მომსახურებაში, საწარმოო პროცესში, რომელიც განაპირობებს ფირმის გაზრდილ დამატებით ღირებულებას და სარგებელს მომხმარებლებისთვის ან სხვა საწარმოებისთვის. არსებობს ორი სახის ინოვაციები: პროდუქტის ინოვაცია და პროცესის ინოვაცია. პირველი არის ახალი პროდუქტის ან მომსახურების დანერგვა, ახალი დიზაინის საქონელის შექმნა, ან არსებული პროდუქტის ხარისხობრივად შეცვლილი ვარიანტის შექმნა. მაშინ როცა პროცესის ინოვაცია მოიცავს: ახალ საწარმოო პროცესს, ახალი ტექნიკის დანერგვას პროდუქტის და მომსახურების წარმოებაში და მიწოდებაში.

ინოვაციური პროცესი ჩვეულებრივ იწყება კვლევა-განვითარებით კერძოდ, ბაზრის კვლევით მოთხოვნის ანალიზით, ახალი იდეის განვითარებით, მისი გატესტვით და ახალი პროდუქტის დაგეგმვით. Chudnovsky et al. (2006)<sup>19</sup> მიიჩნევა რომ ფირმა მაშინ იყო ინოვაციური როცა ის ნერგავდა ახალ ან რადიკალურად შეცვლილ პროდუქტებსა და პროცესებს 1992-1996 წლებში. Lööf and Heshmati (2006) ინოვაციურია საწარმო როცა ინვესტიციები ინოვაციებში და ინოვაციური გაყიდვები არის დადებითი.

---

<sup>17</sup> Cobb, C.W., Douglas, P.H. (1928), A theory of production. *The American Economic Review*, 18(1), 139-165.

<sup>18</sup> Greenhalgh, C., Rogers, M. (2010), *Innovation, Intellectual Property, and Economic Growth*. New Jersey: Princeton University Press.

<sup>19</sup> Chudnovsky, D., Lopez, A., Pupato, G. (2006), Innovation and productivity in developing countries: A study of Argentine manufacturing firms behavior (1992-2001). *Research Policy*, 35(2), 266-288.

მიკრო დონეზე ინოვაცია ახდენს პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას საწარმოს მწარმოებლურობაზე. Chudnovsky et al. (2006) მიხედვით ინოვატორები აღწევენ უფრო მაღალ მწარმოებლურობას ვიდრე არაინოვატორები არგენტინის საწარმოო ფირმების ქცევის საფუძველზე 1992-2001 წლებში. შედეგებმა აჩვენა რომ შრომის მწარმოებლურობა ინოვაციურ ფირმებში 14.1% მეტია ვიდრე არაინოვატორებში, რომელსაც აქვს პირდაპირი გავლენა ფირმის მწარმოებლურობაზე.

Griffith et al. (2006) მა აღმოაჩინა რომ პროდუქტის ინოვაცია დაკავშირებულია მაღალ მწარმოებლურობასთან საფრანგეთში ესპანეთში და ბრიტანეთში, მაგრამ არა გერმანიაში. Masso and Vahter (2008) ასევე მიანიშნეს რომ ფირმები, რომლებიც უფრო მეტ ინვესტიციას ახორციელებენ ინოვაციურ აქტივობებში და აქვთ მეტი უნარი კვლევა განვითარებისთვის, გაზრდიან მწარმოებლურობას.

Hall and Rosenberg (2009)<sup>20</sup> ასევე დაამტკიცეს ძლიერი კავშირი ინოვაციებსა და ფირმის მწარმოებლურობას შორის იტალიის მაგალითზე რომელიც მოიცავდა 1995-2003 წლებს. მათ აჩვენეს რომ პროდუქტის ინოვაციას აქვს დადებითი გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე, მაშინ როცა პროცესის ინოვაციას აქვს უფრო მეტი გავლენა ინვესტიციებზე კაპიტალში.

მიუხედავად ამისა, ჩილეს მაგალითზე რომელიც არის ნაკლებად განვითარებული, Miguel (2006)<sup>21</sup> მა ვერ შეძლო ეპოვნა რაიმე არსებითი ზეგავლენა ინოვაციების გაყიდვებზე და მწარმოებლურობაზე 1995- 1998 წლებში. ეს შეიძლება აიხსნას იმით რომ ზოგჯერ ინოვაციებს სჭირდება დაელოდოს ბაზრის რექაციას განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში.

---

<sup>20</sup> Hall, B.H., Rosenberg, N. (2009), Innovation and productivity in SMEs: Empirical evidence for Italy. *Small Business Economics* 33(1), 13-33.

<sup>21</sup> Miguel, B.J. (2006), The role of research and innovation in promoting productivity in Chile. *Economics of Innovation and New Technology*, 15(5), 301-315.

საწარმოს ზომა განისაზღვრება დასაქმებულების რაოდენობით ან ინვესტირებული კაპიტალის სიდიდით. Masso and Vahter (2008)-მა აღმოაჩინეს რომ მსხვილი საწარმოები უფრო ახორციელებენ ინოვაციურ აქტივობებს ვიდრე მცირე. ფრიმის ზომას აქვს უმნიშვნელო გავლენა პროდუქტის ინოვაციაზე, მაგრამ დადებითი გავლენა პროცესის ინოვაციაზე. უფრო კონკრეტულად, Chudnovsky et al. (2006) ის თანახმად მსხვილი საწარმოები უფრო ახორციელებენ ინოვაციებს და ხდებიან ინოვატორები. ალბათობა იმისა რომ მსხვილი ფირმები იყვნენ ინოვატორები არის (68%) , როცა მცირე და საშუალო საწარმოების ალბათობაა 30%. (Baldwin and Branch, 2000).<sup>22</sup>

ანალიზი და გაზომვა იმისა თუ რა გავლენას ახდენს ინოვაციური აქტიურობა მწარმოებლურობაზე არის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხი ემპირიულ ეკონომიკაში. Griliches (1979) and Griliches and Pakes (1980),<sup>23</sup> ნაშრომების მიხედვით, ფართოდ აღიარებული მიდგომა არის კავშირის მოდელირება ინოვაციებსა და მის დეტერმინანტებს შორის, ცოდნის წარმოების ფუნქციაში, და ინოვაციების როლი მწარმოებლურობაში გამოშვებული პროდუქციის ფუნქციაში. ცოდნის წარმოების ფუნქციაში (Griliches, 1979) არის დაშვება, რომ ახალი ცოდნის წარმოება დამოკიდებულია მიმდინარე და ძველ ინვესტიციებზე ცოდნაში და სხვა ფაქტორებზე, როგორცაა ცოდნის ნაკადები ფრიმის გარეთ.

ინოვაციების კვლევების უპირატესობის გამოყენებით (OECD and Eurostat, 2005)<sup>24</sup> და უფრო მეტი ეკონომიკური მაჩვენებლების წყალობით, Crépon, Duguet და Mairesse (1998), Crépon, Duguet და Mairesse იყვნენ პირველები, ვინც ემპირიულად გააერთიანა ეს კავშირები

---

<sup>22</sup> Baldwin, J.R., Branch, S.C.A. (2000), Determinants of Innovative Activity in Canadian Manufacturing Firms: The Role of Intellectual Property Rights, Citeseer.

<sup>23</sup> Griliches, Z. 1979. "Issues in Assessing the Contribution of Research and Development to Productivity Growth." *Bell Journal of Economics* 10: 92-116. Griliches, Z., and A. Pakes. 1980. "Patents and R&D at the Firm Level: A First Look." NBER Working Paper 561. Washington, DC, United States: National Bureau of Economic Research.

<sup>24</sup> OECD and Eurostat. 2005. *The Oslo Manual: The Measurement of Scientific and Technological Activities. Guidelines for Collecting and Interpreting Innovation Data*. 3rd edition. Paris, France: Organization for Economic Cooperation and Development/Eurostat.



რეკურსიულ მოდელში, რომელიც საშუალებას იძლეოდა გაზომილიყო (კვლევა-განვითარების ინვესტიციები) ინვესტიციების ფუნქციაში. მათი კვლევის შედეგები საფრანგეთზე ადასტურებს რომ ფირმის მწარმოებლურობა არის დადებით კორელაციაში უფრო გაზრდილ ინოვაციებთან, (მაშინაც კი როცა აკონტროლებ მუშახელის უნარების შემადგენლობას). წინამორბედი კვლევების მიხედვით, მათ ასევე აჩვენეს რომ ფირმის გადაწყვეტილება ინვესტიცია განახორციელოს ინოვაციაში (R&D) იზრდება ფირმის ზომის, საბაზრო წილის და დივერსიფიკაციისა, მოთხოვნის ზრდის და ტექნოლოგიების განვითარების მამოძრავებელი ძალების არსებობის დროს.

CDM მოდელზე დაყრდნობით, გამოჩნდა ახალი კვლევების ტალღა დამყარებული ინოვაციების კვლევებზე, რომლებმაც გამოიღეს მსგავსი შედეგები სხვა განვითარებადი მრეწველობის ქვეყნებისთვის. სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გამოყენებით, როგორცაა ფირმის შრომის მწარმოებლურობა, მრავალ ფაქტორული მწარმოებლურობა, გაყიდვები, მოგების მარჟები, საბაზრო ღირებულება, კვლევებმა განმეორებითაც (პერიოდულად) აჩვენა, რომ ტექნოლოგიურ ინოვაციებს (პროდუქტი ან პროცესი) მიყვავართ ფირმის ფუნქციონირების მაღალ დონემდე ევროპულ ფირმებში. (მაგალითად იხილეთ: Loof and Heshmati, 2002; Loof et al., 2003; Janz et al., 2004; Van Leeuwen and Klomp, 2006; or Monhen et al., 2006). ამ ლიტერატურულ წყაროებს ასევე წინა პლანზე გამოყავს ის რომ ფირმის არაერთგვაროვნება(ჰეტეროგენურობა) არის მნიშვნელოვანი ფირმის ინოვაციური საქმიანობის და მათი გავლენის ფირმის ფუნქციონირებაზე, ახსნაში და ის უნდა გაკონტროლდეს ემპირიულ შეფასებებში. (Hall and Mairesse, 2006; Mairesse and Monhen, 2010).<sup>25</sup>

ასევე, კორელაცია ინოვაციურ პროდუქტსა და მწარმოებლურობას შორის არის ხშირად მაღალი მსხვილი ფირმებისთვის.(Griffith et al., 2006; OECD, 2009), და როგორც მოსალოდნელია, ქვეყნების უმეტესობაში ეფექტი ინოვაციურ პროდუქტსა და მწარმოებლურობას შორის არის უფრო დიდი წარმოების სექტორში ვიდრე მომსახურების

---

<sup>25</sup> Mairesse, J. and P. Mohnen. 2010. "Using Innovation Surveys for Econometric Analysis." NBER Working Paper 15857. Washington, DC, United States: National Bureau of Economic Research.

სექტორში.(OECD, 2009). იმ გავლენის გარდა, რომელიც აქვს კვლევა-განვითარებას მიღებულ(outcome) ინოვაციებთან, ეს კვლევები თანმიმდევრულად ადასტურებს პოზიტიურ კავშირს. ფირმები, რომლებიც უფრო ინტენსიურად ახორციელებენ ინვესტიციებს კვლევა-განვითარებაში, უფრო მეტად ავითარებენ ინოვაციებს - პროდუქტს, ინოვაციურ პროცესს ან პატენტს(გამოგონება).

ფაქტები ცხადყოფს რომ ფირმების უნარი განვითარებად ეკონომიკაში გარდაქმნან კვლევა-განვითარება ინოვაციებად არის უფრო კომპლექსური ვიდრე ფირმების უფრო განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. დამაკმაყოფილებელი კვლევის შედეგები აჩვენებენ პოზიტიურ კავშირს კვლევა-განვითარებასა, ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის ისეთ ქვეყნებში როგორცაა, მაგალითად, სამხრეთ კორეა,(Lee and Kang, 2007), მალაიზია(Hegde and Shapira, 2007),<sup>26</sup> ტაივანი(Yan Aw et al., 2008), და ჩინეთი(Jefferson et al., 2006), რომლებმაც დაიწყეს ინვესტიციების განხორციელება კვლევა-განვითარებაში და ადამიანურ კაპიტალში რამდენიმე ათეული წლის წინათ. არის დამადასტურებელი ფაქტები იმისა რომ ინვესტიციების მაღალ დონეს ინოვაციებში (განსაკუთრებით კვლევა-განვითარებაში) მიყვარათ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიდრეკილებაზე არგენტინის(Chudnovski et al., 2006, Arza and López, 2010), ბრაზილიის(Correa et al., 2005; Raffo et al., 2008),<sup>27</sup> ბულგარეთის (Stoevsky, 2005) ფირმებში. მეორე მხრივ კვლევის შედეგები ჩილედან (Benavente, 2006; Benavente and Bravo, 2009) და მექსიკიდან (Pérez et al., 2005) არ შეესაბამებიან ამ კვლევის შედეგებს.

კვლევის შედეგები, რომლებიც ეხება ინოვაციების გავლენას შრომის მწარმოებლურობაზე არიან თანაბრად არასარწმუნო(არადასაჯერებელი) ლათინური ამერიკის ფირმებისთვის. Raffo et al. (2008) -მ აღმოაჩინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ინოვაციური პროდუქტების

---

<sup>26</sup> Hegde, D., and P. Shapira. 2007. "Knowledge, Technology Trajectories, and Innovation in a Developing Country Context: Evidence from a Survey of Malaysian Firms." *International Journal of Technology Management* 40(4): 349-370.

<sup>27</sup> Correa, P., I. G. Sánchez, and H. Singh. 2005. "Research, Innovation and Productivity: Firm Level Analysis for Brazil." Mimeographed document. Raffo, J., S. Lhuillery and L. Miotti. 2008. "Northern and Southern Innovativity: A Comparison across European and Latin American Countries." *European Journal of Development Research* 20(2): 219-239.

ბრაზილიასა და მექსიკისთვის, მაგრამ არა არგენტინისთვის. შედარებისთვის, Perez et al. (2005), Chudnovsky et al. (2006) and Benavente (2006) ვერ აღმოაჩინეს ვერანაირი არსებითი ეფექტი ინოვაციებისა ფირმის მწარმოებლურობაზე (გაზომილი როგორც გაყიდვები თითო დასაქმებულზე) არგენტინისა და მექსიკის ფირმებში. Hall and Mairesse (2006)-მა ივარაუდეს(აზრი გამოთქვეს) იმაზე რომ ინოვაციების მცირე მნიშვნელობა მწარმოებლურობის ამსახველ განტოლებებში რამდენიმე განვითარებადი ქვეყნის ჭრილში შეიძლება იყოს გამოწვეული განსხვავებული პირობების გამო, რომლებიც ეხება ინოვაციებს განვითარებად ქვეყნებში დასავლეთ ევროპასთან შედარებით.

კვლევა-განვითარების მცირედი კორელაცია ინოვაციების შექმნასთან (innovation outcomes) და მწარმოებლურობასთან განვითარებად ქვეყნებში შეიძლება აიხსნას იმით, რომ ფირმები, განვითარებად ქვეყნებში, არიან ტექნოლოგიური საზღვრიდან (technological frontier) ძალიან მოშორებით და ინვესტიციების განხორციელების სტიმულები ინოვაციებში არის სუსტი ან საერთოდ არ არის (Acemoglu et al., 2006). ლათინური ამერიკის უმეტეს ქვეყანაში ფირმების ინოვაციები ძირითადად შედგება of დამატებითი ცვლილებების მცირედი გავლენით (ან გავლენის გარეშე) საერთაშორისო ბაზრებზე და უმეტესად დაფუძნებულია მიბაძვაზე და ტექნოლოგიის ტრანსფერზე, მანქანა დანადგარების და აღჭურვილობის შექმნაზე(მიღებაზე) და ავტომატიზებული ტექნოლოგიის შექმნაზე(Anlló and Suárez, 2009; Navarro et al., 2010). ინვესტიციები კვლევა-განვითარებაში ბევრ შემთხვევაში ჯდება ზედმეტად ძვირი(ფინანსური ხარჯების და ადამიანური კაპიტალის შემთხვევაშიც) და მისი კუმულიატიური(cumulative) ეფექტის გამო შეიძლება დასჭირდება მეტი დრო რომ გამოიღოს შედეგი(Navarro et al., 2010). ინოვაციების მცირე მნიშვნელობა მწარმოებლურობაში არ არის უჩვეულო ლათინური ამერიკის ეკონომიკებისთვის. PICS-ის (Productivity and Investment Climate Survey) მონაცემების გამოყენებამ, რომელიც აღებულია მსოფლიო ბანკიდან და ეხება დიდი რაოდენობის განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს, Goedhuys (2007a, 2007b) and Goedhuys et al. (2008) ვერ დაადასტურა რაიმე მნიშვნელოვანი ეფექტის არსებობა.

ეს გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა არ არის ამომწურავი, და სხვა ბევრმა კვლევამ შეაფასა CDM მოდელი ან მსგავსი მოდელები რომ აეხსნა ინოვაციური ტექნოლოგიების გავლენა მწარმოებლურობაზე. არის კვლევები შემდეგი ქვეყნების ეკონომიკებზე: Roud (2007) რუსეთის მაგალითზე, Masso and Vather (2008) ესტონეთის მაგალითზე, and Lee and Kang (2007) კორეის მაგალითზე. (For a review of studies see Fagerberg et al., 2008, and Bogliacino, 2009.)<sup>28</sup>

ფირმის მდებარეობის გავლენა მის ეფექტიანობაზე განხილულია Vu (2003), Glancey (1998), Devereux et al. (2007) და სხვა ნაშრომებში. Audretsch and Feldman (1996)<sup>29</sup> დააგინეს რომ ინდუსტრიის ადგილმდებარეობა ზრდის ინოვაციურ ატივობას. Baptista and Swann (1998)<sup>30</sup> გამოიყენეს ბრიტანეთის 248 საწარმოო ფირმის მონაცემები და დაასკვნეს რომ ფირმა უფრო მეტად დანერგავს ინოვაციებს თუ დასაქმების დონე თავის რეგიონში არის მაღალი. ასევე ახსნილია რომ, მჭიდრო კლასტერები უფრო იზიდავენ უფრო მეტ ახალ მონაწილეებს (შემსვლელებს) და იზრდებიან უფრო სწრაფად ვიდრე სხვა ჯგუფები. მეორე მხრივ, CIEM (2010) - მა აღმოაჩინა დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ შრომის მწარმოებლურობა არის უფრო მაღალი იმ საწარმოებისთვის რომლებიც მდებარეობენ ურბანულ გარემოში ან დიდ ქალაქებში ვიდრე სოფლის რაიონებში და მცირე ქალაქებში და რა თქმა უნდა ინოვაციების დონე ამ საწარმოებისთვის არის უფრო მაღალი. თუმცა, ინოვაციური აქტივობა მათთვის უფრო დამოკიდებულია მომხმარებლების სურვილების დაკმაყოფილებაზე ვიდრე ბაზრის მოთხოვნაზე.

---

<sup>28</sup> Roud, V. 2007. "Firm-level Research on Innovation and Productivity: Russian Experience." Moscow, Russian Federation: Higher School of Economics. Unpublished document. Masso, J. and P. Vahter. 2008. *Technological Innovation and Productivity in Late Transition Estonia: Econometric Evidence from Innovation Surveys*. Tartu, Estonia: University of Tartu Press. Lee, K. And S. M. Kang. 2007. "Innovation Types and Productivity Growth: Evidence from Korean Manufacturing Firms." *Global Economic Review* 36(4): 343-359.

<sup>29</sup> Audretsch, D.B., Feldman, M.P. (1996), R&D spillovers and the geography of innovation and production. *The American Economic Review*, 86(3), 630-640.

<sup>30</sup> Baptista, R., Swann, P. (1998), Do firms in clusters innovate more? *Research Policy*, 27(5), 525-540.

საწარმოო სექტორი არის ერთ ერთი საკვანძო დეტერმინანტი ინოვაციების რაოდენ, ის დაკავშირებულია ტექნოლოგიასთან და წარმოების პროცესთან. გერმანული საწარმოო სექტორის Fritsch and Meschede (2001)<sup>31</sup> წარმოადგინეს რომ დაბალ ტექნოლოგიური საწარმოო ფირმები ჩამორჩებიან საშუალო და მაღალტექნოლოგიურ ფირმებს პროდუქტის ინოვაციის განხორციელებაში, მაგრამ უკეთ ახორციელებენ პროცესის ინოვაციებს ვიდრე სხვები. იტალიის საწარმოო ფირმების შესწავლით Hall and Rosenberg (2009)-მა დაადგინეს რომ პროდუქტის ინოვაციას ჰქონდა დადებითი ზეგავლენა მწარმოებლურობაზე და უფრო ძლიერი იმ ფირმებში რომლებიც მოღვაწეობენ მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაში, ვიდრე დაბალტექნოლოგიური სექტორში.

ინოვაციის ადრეული განსაზღვრება ეკონომიკურ განვითარებასა და მეწარმეობაში შემოიტანა ჯოზეფ შუმპეტერმა, გერმანელმა ეკონომისტმა. ინოვაცია მისი გადმოსახედიდან შეიცავს შემოქმედების ელემენტებს, კვლევა&განვითარებას(R&D), ახალ პროცესებს, პროდუქტებს ან მომსახურებას და ტექნოლოგიების განვითარებას (Lumpkin and Dess, 2001). To Kuratko and Hodgetts (2004)<sup>32</sup>, ინოვაცია არის ახალი სიმდიდრის შექმნა არსებული რესურსების შეცვლა და გაუმჯობესება ახალი სიმდიდრის შესაქმნელად. ინოვაცია განიხილება ასევე ახალი იდეის შექმნის პროცესის კუთხით, ასევე ახალი გამოგონების განვითარების და ახალი პროდუქტის მომსახურების ან პროცესის ბაზრისთვის გაცნობით. (Thornhill, 2006). დღესდღეობით ეს განსაზღვრება ეხება სოციალურ ცხოვრების და აქტივობის ყველა მხარეს. ამით ინოვაციის განსაზღვრება ხდება მრავალგანზომილებიანი და რთული.

---

<sup>31</sup> Fritsch, M., Meschede, M. (2001), Product innovation, process innovation, and size. Review of Industrial Organization, 19(3), 335-350.

<sup>32</sup> Kuratko, D. F. & Hodgetts, R. M. (2004). 'Entrepreneurship: Theory, Process and Practices,' 6th edition, Smith western, USA.

Beaver (2002)<sup>33</sup> სჯერა რომ ინოვაცია არის საციცოცხლო ელემენტი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობისთვის. ინოვაციას არამხოლოდ დიდი ფირმებისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა არამედ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. (Jong and Vermeulen, 2006; Anderson, 2009)<sup>34</sup>. Sandvik (2003) ამტკიცებს რომ ინოვაციები არის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტული იარაღი და განსაზღვრავს ფირმის შესაძლებლობებს. ინოვაცია ასევე მიიჩნევა ფირმის მწარმოებლურობის ზრდის ეფექტურ გზად, რესურსების ხარჯვის შემცირებით რესურსების შეზღუდულობის საკითხის გადაწყვეტის საშუალებით. (Lumpkin and Dess, 1996). Bakar and Ahmad (2010) ეთნახმებიან იმას რომ ფირმის შესაძლებლობა შექმნას ინოვაციური პროდუქტი და ინოვაციური ბიზნესი არის გადაწყვეტი ფაქტორი მისთვის გამოიყენოს ახალი შესაძლებლობები და მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა.

## ფირმის ეფექტიანობა

გარეშე პირები ჩვეულებრივ აფასებენ ფირმის შესაძლებლობებს მის ეფექტიანობაზე დაყრდნობით. (Bonn, 2000). მიზნის მიღწევის ხარისხი ჩვეულებრივ განსაზღვრავს ფირმის ეფექტიანობა. (Achrol and Etzel, 2003)<sup>35</sup>. ფირმის ეფექტიანობა განისაზღვრება იმით თუ როგორ შედეგებს მიიღებს ის შიდა და გარე მიზნების შესრულების შედეგად. (Lin *et al.*, 2008). როგორც მრავალგანზომილებიან კონსტრუქციას, ეფექტიანობას აქვს რამდენიმე სახელი: 1. ზრდა (Dobbs and Hamilton, 2006; Wolff and Pett, 2006), 2. გადარჩენა 3. წარმატება და 4. კონკურენტუნარიანობა. ფირმის ზრდის კონცეფცია პირველად გაჩნდა 1930 იან წლებში ცნობილი როგორც პროპორციულობის ეფექტის კანონი (Law of Proportionate

---

<sup>33</sup> Beaver, G. (2002). *Small Business, Entrepreneurship and Enterprise Development*, Pearson Education Ltd, United Kingdom.

<sup>34</sup> Jong, J. P. J. & Vermeulen, P. A. M. (2006). "Determinants of Product Innovation in Small Firms: A Comparison across Industries," *International Small Business Journal*, 24 (6), 587-609. Anderson, A., Wahab, K. A., Amin, H & Chong, R. (2009). "Firm Performance: An Analysis from the Theory of Innovation," *Australian Graduate School Entrepreneurship*. [Online], [Retrieved July 29, 2012], [http://www.swinburne.edu.au/lib/ir/online\\_conferences/agse2009/000162.pdf](http://www.swinburne.edu.au/lib/ir/online_conferences/agse2009/000162.pdf)

<sup>35</sup> Achrol, R. S. & Etzel, M. J. (2003). "The Structure of Reseller Goals and Performance in Marketing Channels," *Journal of the Academy of Marketing Science*, 31(2), 146- 163.

Effect- (ზოგჯერ უწოდებენ გიბრატის პროპორციული ზრდის წესს). აღნიშნული კანონი გამოიყენება ბევრ ნაშრომში როგორც ამოსავალი ბიზნესის ზრდის განსაზღვრისთვის. Gibrat's (1931) ფირმის ზრდის ტემპი არაა დამოკიდებული მის ზომაზე.

ტრადიციულად ვარიაცია ფირმის ეფექტიანობაში (variation in firm performance) დაკავშირებულია ინდუსტრიულ სტრუქტურასთან. (Frazier and Howell, 1983). ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია განსაზღვრავს რომ ფირმის ზრდას როგორც მინიმალური საშუალო დანახარჯების მიღწევის პროცესს. სხვა სიტყვებით, ფირმის ზრდა მსგავსია მოგების ოპტიმიზაციის. (Trau, 1996)<sup>36</sup>. 1959-ში Penrose-მა განავითარა რესურსებზე დაფუძნებული ხედვის თეორია (resource-based-view theory) (Garnsey, 1988), სადაც ფირმის ეფექტიანობა დამოკიდებულია მის რესურსებსა და შესაძლებლობებზე, როგორც მტკიცე კონკურენტული უპირატესობის წყარო ბაზარზე. (Wernerfelt, 1984; Peteraf, Garnsey (1988)<sup>37</sup> ამტკიცებს, რომ ფირმებმა უნდა მოიძიონ მობილიზება გაუკეთონ და გაანაწილონ რესურსები სანამ გაიზრდებიან. სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება ასევე განსაზღვრავს ფირმის ქმედუნარიანობას. ყოველი ფირმა იყენებს განსხვავებულ სტრატეგიას. (Collins and Porras, 2000)<sup>38</sup>; ამის გამო, ფირმის ქმედუნარიანობა კონცენტრირებულია მის არჩეულ სტრატეგიაში. (Short *et al.*, 2007). ორგანიზაციული მიზნებიდან გამომდინარე, ფირმები იყენებენ განსხვავებულ მეთოდებს რომ შეაფასონ მათი ქმედება. ეს მაჩვენებელი შეიძლება გაიზომოს ფინანსური და არაფინანსურ ტერმინებში. (Darroch, 2005); ფირმების უმეტესონა იყენებს ფინანსურ ინდიკატორებს ამის შესაფასებლად. (Grant *et al.*, 1988; Hoskinson, 1990). : 1. უკუგება აქტივებზე(ROA)(Return on assets) 2.საშუალო წლიური დაკავების კოეფიციენტი(average annual occupancy rate) 3. წმინდა მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ(net profit after tax) და 4. უკუგება ინვესტიციაზე(return on investment). (ROI) არის ფართოდ გამოყენებადი ფინანსური და

---

<sup>36</sup> Trau, F. (1996). Why Do Firms Grow?, Working Paper, 26, Roma, Italy.

<sup>37</sup> Garnsey, E. (1988). "A Theory of the Early Growth of the Firm," *Industrial and Corporate Change*, 7 (3), 523-556.

<sup>38</sup> Collins, J. C. & Porras, J. I. (2000). "Built to Last – Successful Habits of Visionary Companies," London: Random House. [Online], [Retrieved September 15, 2011], <http://dowlingconsulting.ca/Builtto.pdf>

საბუღალტრო მაჩვენებლები ფირმების მიერ. სხვა დანარჩენი მაჩვენებლებია: მომგებიანობა, მწარმოებლურიობა, ზრდა, მოწილეების კმაყოფილება, საბაზრო წილი და კონკურენტული პოზიცია. (Garrigos-Simon and Marques, 2004)<sup>39</sup>; მიუხედავად ამისა არ გამოიყენება მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლები ამას გარდა საჭიროა არაფინანსური მაჩვენებლების გამოყენება რათა შესაბამისობაში იყოს ფირმის შიდა და გარე გარემოს ცვლილებებთან. (Krager and Parnell, 1996). Rubio and Aragon (2009)-მა მხარს უჭერენ რა ამ იდეას, ფირმის ეფექტიანობა დაყვეს 4 განზომილებად: 1.შინაგანი პროცესი 2.ღია სისტემა 3.რაციონალური მიზანი და 4. ადამიანური ურთიერთობები. სადაც თითოეული განზომილება იზომება თავისივე ცვლადების ცვლილებებით.

### **ინოვაციები და ფირმის ეფექტიანობა**

ინოვაციის მნიშვნელობა დაახასიათა Roberts and Amit (2003)<sup>40</sup>მა, როგორც კონკურენტული უპირატესობის და მაქსიმალური მომგებიანობის მიღწევის საშუალება. როგორც მრავალმა კვლევამ აჩვენა, ინოვაციასა და ფირმის ეფექტიანობას შორის არის დადებითი კავშირი. ინოვაცია შეიძლება გამოჩნდეს პროდუქტში, პროცესში , ბაზარზე, ფაქტორში და ორგანიზაციაში. (Kao, 1989).

### **პროდუქტის ინოვაცია**

ინოვაციურ პროდუქტში იგულისხმება ან ახალი პროდუქტის შექმნა ახალი ნედლეულისგან, ან არსებული პროდუქტის შეცვლა, რათა დაკმაყოფილდეს მომხმარებლის საჭიროება. არსებული პროდუქციის გაუმჯობესებული ვერსია. (Gopalakrishnan and Damanpour, 1997) ეს ასევე გულისხმობს ახალი პროდუქტის ან მომსახურების დანერგვას, რათა შეიქმნას ახალი ბაზრები და მომხმარებლები, ან

---

<sup>39</sup> Garrigos-Simon, F. J., & Marques, D. P. (2004). 'Competitive Strategies and Firm Performance: A Study in the Spanish Hospitality Sector,' *Management Research*, 2 (3), 251–269.

<sup>40</sup> Roberts, P. W., & Amit, R. (2003). "The Dynamics of Innovative Activity and Competitive Advantage: The Case of Australian Retail Banking, 1981 to 1995," *Organization Science*, 14 (2), 107-122.



დაკმაყოფილდეს არსებული ბაზრის და მომხმარებლების მოთხოვნილებები.(Wang and Ahmed, 2004)<sup>41</sup>.

ინოვაციური პროდუქტი არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყარო კონკურენტული უპირატესობისთვის. (Camison and Lopez, 2010). ინოვაცია ზრდის პროდუქტის ხარისხს რომელიც გავლენას ახდენს ფირმის ეფექტიანობაზე და შესაბამისად კონკურენტულ უპირატესობაზე. (Garvin, 1987). According to Hult *et al.* (2004)<sup>42</sup>, ინოვაცია ფირმას სთავაზობს უსაფრთხოებას საბაზრო საფრთხეებისა და კონკურენტებისგან თავის დაცვას. 744 ესპანური ფირმის მაგალითზე Espallardo and Ballester (2009) დაამტკიცეს ინოვაციების დადებითი როლი ფირმების ეფექტიანობაში. ამის მსგავსად, Alegre *et al.* (2006)-მა დაამტკიცეს რომ ინოვაციური პროდუქტის ორივე განზომილება: (efficacy and efficiency) არიან მჭიდრო დადებით კავშირში ფირმის ქმედებასთან.

## პროცესის ინოვაცია

ზოგადად ინოვაციური პროცესი არის ბიზნესის რესტრუქტურისა და შინაგანი ოპერირების გაუმჯობესება. (Cumming, 1998)<sup>43</sup>. ეს პროცესი მოიცავს ბიზნესის ბევრ ფუნქციას: ტექნიკურ დაგეგმვას, კვლევა და განვითარება, წარმოება, მენეჯმენტი და კომერციული აქტივობები. (Freeman, 1982)<sup>44</sup>. Oke *et al.* (2007), სთვის, პროცესის ინოვაცია როგორც ტექნიკის შექმნა ან განვითარება ასევე განვითარება პროცესის ან სისტემის. მაგალითისთვის, ინოვაცია ტექნოლოგიაში, უნარებში, ტექნიკაში, სისტემაში ან პროცედურაში, რომლებიც გამოიყენება შემომავალი რესურსების გარდასაქმნელად პროდუქტად ან მომსახურებად. (Zhuang *et al.*, 1999).

---

<sup>41</sup> Wang, C. L. & Ahmed, P. K. (2004). "The Development and Validation of the Organizational Innovativeness Construct Using Confirmatory Factor Analysis," *European Journal of Innovation Management*, 7 (4), 303-13.

<sup>42</sup> Hult, G. T. M., Hurley, R. F. & Knight, G. A. (2004). "Innovativeness: Its Antecedents and Impact on Business Performance," *Industrial Marketing Management*, 33 (5), 429-38.

<sup>43</sup> Cumming, B. S. (1998). "Innovation Overview and Future Challenges," *European Journal of Innovation Management*, 1(1), 21 – 29.

<sup>44</sup> Freeman, C. (1982). 'The Economics of Industrial Innovation,' 2nd ed., Frances Printer, London, UK.

საწარმო ინდუსტრიის სექტორისთვის პროცესის ინოვაცია უნდა იყოს ფორმისთვის ძირითადი მახასიათებელი როგორც კონკურენტული უპირატესობის წყარო.(Nemetz and Fry, 1988). Varis and Littunen's (2010)<sup>45</sup> კვლევებმა ფინეთის მცირე და საშუალო საწარმოებზე აჩვენა დადებითი კავშირი პროცესის ინოვაციასა და ფორმის ეფექტიანობას შორის.

---

<sup>45</sup> Varis, M. & Littunen, H. (2010). "Types of Innovation, Sources of Information and Performance in Entrepreneurial SMEs," *European Journal of Innovation Management*, 13 (2), 128-154.

## თავი 3. კვლევის შედეგები

### 3.1 მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ტენდენციები

სამეწარმეო საქმიანობა განისაზღვრება როგორც მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე და ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად<sup>46</sup>. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრავს საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის შემდეგ ტიპებს: შპს,სააქციო საზოგადოება, სოლიდარული ოასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, ინდ.მეწარმე.

**საწარმო** არის ეკონომიკური ერთეული რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ. საწარმო ახორციელებს ერთ ან რამდენიმე საქმიანობის სახეს, ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. საწარმო შეიძლება იყოს ინდივიდუალური(ფიზიკური) ან იურიდიული პირი.<sup>47</sup>

საწარმოები ზომის მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად: **მსხვილი, საშუალო და მცირე**. მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- მცირე საწარმოებისთვის - 50 დასაქმებულსა და 12 მლნ ლარს
- საშუალო საწარმოებისთვის - 249 დასაქმებულსა და 60 მლნ ლარს
- მსხვილი საწარმოებისთვის - აღემატება როგორც 249 დასაქმებულს, ისე 60 მლნ ლარს

<sup>46</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=62> „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 1. პუნქტი 2.

<sup>47</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=148> “საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ მუხლი 21.

**ბრუნვა** არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელი, რომელიც შეესაბამება მოცემული ერთეულის მიერ განხორციელებული საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მოცულობას. ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (გარდა დღგ-სა და ბრუნვასთან პირდაპირ კავშირში მყოფი სხვა გადასახადებისა). მასში ჩაირთვება ასევე ყველა ხარჯი(სატრანსპორტო,შეფუთვის და ა.შ) რომელიც დაეკისრება მყიდველს. ფასდათმობები და ფასდაკლებები აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან. ბრუნვაში არ ჩაირთვება ძირითადი კაპიტალის გაყიდვა სუბსიდიები წარმოებაზე(მიღებული სახელმწიფო ორგანოებიდან)<sup>48</sup>.

**პროდუქციის გამოშვება** ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტორივად წარმოებულ პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გაყიდვისთვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

**დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში** ეყრდნობა გამოშვებულ პროდუქციას, რომელსაც ემატება სუბსიდიები პროდუქტებზე, აკლდება საქონლისა და მომსახურების ყიდვები(გარდა უცვლელად გადაყიდვისათვის შეძენილი პროდუქტისა) აგრეთვე აკლდება ან ემატება ნედლეულის მასალების და სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება.

**შუალედური მოხმარება** იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც მოხმარებულია დანახარჯების სახით წარმოების პროცესში. ამ დროს გამოირიცხულია ძირითადი კაპიტალი

**ძირითადი კაპიტალი წარმოებითი აქტივები** რომლებიც მრავალჯერ ან ხანგრძლივად (ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) გამოიყენება წარმოების პროცესში.

შრომის მწარმოებლურობა (ერთ დასაქმებულზე) = პროდუქციის გამოშვებ / დასაქმებულთა რაოდენობა


კაპიტალის მწარმოებლურობა = პროდუქციის გამოშვება / ძირითადი კაპიტალი

კაპიტალაღჭურვილობა = ძირითადი კაპიტალი / დასაქმებულთა რაოდენობა

განვიხილოთ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარების ტენდენციები საწარმოები შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ბრუნვა, გამოშვება, შუალედური მოხმარება და სხვა.

### ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით<sup>49</sup>

დიაგრამა 1




მსხვილი საწარმოების შემთხვევაში 1999-2004 წლებში ბრუნვის საშუალო ზრდა იყო 30.6%, როცა საშუალო საწარმოებში იყო 14.81%, მცირეში 13.51%. ამ პერიოდში საშუალო საწარმოების მაგალითზე 2001-2002 წლებში იყო ჩავარდნა რის შემდეგაც 2003 წელს კვლავ იზრდება ზრდის ტემპი. იგივე ხდება მცირე საწარმოების შემთხვევაშიც, არათუ იკლებს

<sup>49</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>

ზრდის ტემპი , არამედ სახეზეა ბრუნვის კლება 2001-2002 წლებში. 2005-2007 მხვილი საწარმოების ბრუნვა იმატებს ხოლო 2009 წელს არის კლება -7.14%-ით. ყველაზე დიდი ზრდა შეინიშნება 2002 და 2007 წელს და არის თითქმის 50%. 2013 წელს კვლავ არის ვარდნა ზრდის ტემპის და არის 0.10%. 2018 წელს 2017 შედარებით არის 24.77% ზრდა. 2014- 2017 წლებში ზრდის ტემპი თითქმის თანაბარია. საშუალო საწარმოების ბრუნვის ზრდის ტემპი ყველაზე მაღალია 2005 და 2011 წლებში, 2005-2008 წლებში იკლებს. შემდეგ 2009-2012 იმატებს. 2018 წელს ზრდის ტემპია 13.52%. მცირე საწარმოების ბრუნვის ზრდის ტემპი 2001-2002 წელს არის უარყოფითი, 2003-2005 არის ისევ ზრდადი, ხოლო შემდეგ 2006-2008 წლებში არის კლებადი. 2008 წელს გვაქვს ისევ უარყოფითი ზრდა. ყველაზე დიდ ზრდა შეინიშნება 2001 წელს არის 90%. 2012 წელს არის დიდი დაქვეითება და არის 5%. მსხვილი საწარმოების ბრუნვი საშუალო პროცენტული ზრდა არის 24%, საშუალო-18% მცირე-18%.(იხ. დიაგრამა1)

### საწარმოთა გამოშვება ზომის მიხედვით<sup>50</sup>

დიაგრამა 2



<sup>50</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>

პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომის მიხედვით 2017 წელს,<sup>51</sup> მლნ.ლარი

ცხრილი 1

მათ შორის:				
	მთლიან	მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	38206.8	15594.7	9719.2	12892.9
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით				
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	457.9	112.7	162.8	182.4
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	690.6	415.6	91.4	183.5
დამამუშავებელი მრეწველობა	8402.3	3891.9	2403.8	2106.6
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მოწოდება	1347.5	997.3	303.2	47.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	364.7	293.0	52.6	19.1
მშენებლობა	7611.0	2210.0	2368.6	3032.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	6345.4	2274.4	1519.6	2551.4
ტრანსპორტირება და დასაწყობება	3661.6	1890.6	523.0	1247.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1564.5	420.4	482.2	661.9
ინფორმაცია და კომუნიკაციები	1446.7	868.1	247.3	331.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1121.1	71.7	229.4	819.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1217.2	73.3	338.5	805.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	710.9	112.0	233.2	365.7
განათლება	366.9	100.8	167.5	98.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1614.7	979.1	429.8	205.8

<sup>51</sup> <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf> გვ.38

ხელოვნება გართობა და დასვენება	1168.3	883.7	142.3	142.3
სხვა სახის მომსახურება	115.6	-	24.1	91.5

მსხვილი საწარმოების გამოშვების პროცენტული ზრდა ყველაზე დიდია 2000, 2011 წლებში. 2004-2009 წლებში ზრდის ტემპი კლებულობს და 2009 წელს გვაქვს უარყოფითი ზრდა -3.48%. შემდეგ 2010 წლიდან ისევ იმატებს ტემპი 2011 წლამდე და 2011 წლიდან იკლებს და 2013 არის კლებადი ზრდა -1.87%. შემდეგ არის ისევ ზრდა. 2018 წელს არის 7.39% ზრდა. საშუალო ზრდის ტემპი ყველა წლის გათვალისწინებით არის 18.37%. საშუალო საწარმოების გამოშვება 1999-2007 წლებში არის მუდმივად ზრდადი, ხოლო 2008 წელს არის კლება -4%. კლება შეინიშნება ასევე 2013 წელს. ყველაზე დიდი პროცენტული ზრდა არის 2007 და 2011 წელს. 2018 წელს არის ზრდა 7%. საშუალო ზრდის ტემპი არის 16.28% ყველა წლის გათვალისწინებით. მცირე საწარმოების გამოშვების ზრდის ტემპი 1999-2005 წლებში ზრდადია, და ამ უკანასკნელ წელს აღწევს 42%. 2006-2008 წლებში ისევ იკლებს და 2008 წელს არის უარყოფითი ზრდა -0.43%. 2011 წელს შეინიშნება ყველაზე დიდი პროცენტული ზრდა 73%. 2018 წელს ზრდის ტემპი არის 6.65%. საშუალო პროცენტული ზრდის ტემპი არის 18.32%. (იხ. ცხრილი 1)



გამოშვებული პროდუქციის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2017 წელს<sup>52</sup> (პროცენტებში)

ცხრილი 2

	მთლიან	მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	100.0	40.8	25.4	33.7
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით				
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	100.0	24.6	35.6	39.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	100.0	60.2	13.2	26.6
დამამუშავებელი მრეწველობა	100.0	46.3	28.6	25.1
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მოწოდება	100.0	74.0	22.5	3.5
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	100.0	80	14.4	5.2
მშენებლობა	100.0	29.0	31.1	39.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	100.0	35.8	23.9	40.2
ტრანსპორტირება და დასაწყობება	100.0	51.6	14.3	34.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	100.0	26.9	30.8	42.3
ინფორმაცია და კომუნიკაციები	100.0	60.0	17.1	22.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	100.0	6.4	20.5	73.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	100.0	6.0	27.8	66.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	100.0	15.8	32.8	51.4
განათლება	100.0	27.5	45.6	26.9
ჯანდაცვა და სოციალური	100.0	60.6	26.6	12.7

<sup>52</sup> <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf> გვ.39

მომსახურების საქმიანობები				
ხელოვნება გართობა და დასვენება	100.0	75.6	12.2	12.2
სხვა სახის მომსახურება	100.0	-	20.8	79.2

სოფლის მეურნეობაში 2017 წელს მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქციის გამოშვების წილი არის 75.4%, რომელიც ბევრად აჭარბებს მსხვილი საწარმოების გამოშვებას. ელექტროენერჯის წარმოება მსხვილი საწარმოები ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოებს ერთად, ისევე როგორც წყალმომარაგებაში.

პროფესიულ სამეცნიერო საქმიანობებში მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბევრად აღემატება მსხვილს და არის 94%.(ერთად), ისევე როგორც განათლება.

მშენებლობის სფეროში ასევე მცირე და საშუალო საწარმოების წილი დიდია და შეადგენს 71%.(ჯამში)

ჯანდაცვაში დომინირებს მსხვილი საწარმოები და შეადგენს 60.6%.

მცირე და საშუალო საწარმოები დომინირებენ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში და შეადგენს 93.6%.(იხ. ცხრილი 2)

განვიხილოთ დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით:

დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით<sup>53</sup>

ცხრილი 3

წელი	მათ შორის:			
	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
	მლნ. ლარი			
	1	2	3	4
<b>2006</b>	3,479.4	1,871.9	795.3	812.2
<b>2007</b>	4,541.8	2,313.5	1,258.6	969.6
<b>2008</b>	5,162.6	2,820.3	1,328.3	1,014.0
<b>2009</b>	5,464.1	2,607.4	1,498.2	1,358.4
<b>2010</b>	6,703.2	3,324.2	1,684.2	1,694.7
<b>2011</b>	9,253.7	4,114.1	2,221.0	2,918.5
<b>2012</b>	11,190.7	4,988.0	2,835.5	3,367.2
<b>2013</b>	12,139.1	5,344.9	2,994.2	3,799.9
<b>2014</b>	12,849.4	5,492.0	3,094.3	4,263.1
<b>2015</b>	14,761.0	6,183.3	3,674.0	4,903.8
<b>2016</b>	16,772.4	6,977.8	3,979.0	5,815.6
<b>2017</b>	19,036.3	7,314.4	4,878.8	6,843.2


მსხვილი საწარმოების შემთხვევაში 2009 წელს არის კლებადი ზრდა -7.55%, ასევე დაბალი ზრდაა 2014 წელს 2.75% და 2017 წელს 4.82%. ყველაზე დიდი ზრდა არის 2010-2011 წლებში 27.5% და 23.8%. 2007-2009 წლებში არის ზრდის ტემპის კლება, შემდეგ 2010 წელს არის მკვეთრი ზრდა და 2014 წლამდე არის კლება ზრდის ტემპის. საშუალო ზრდის ტემპი არის 13.69%. საშუალო საწარმოების დროს 2007 წელს არის ყველაზე დიდი ზრდის ტემპი 2006 წელთან მიმართებაში და არის 58.25%. ყველაზე მცირე ზრდა არის 2008 ში 5.54%, 2013 ში 5.60 და 2014 ში 3.34%. 2008-2011 წლებში ზრდის ტემპი არის მუდმივად ზრდადი, შემდეგ 2012-2014 წლებში მუდმივად კლებადი, 2017 წელს არის 22.61%. საშუალო ზრდის ტემპი

<sup>53</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>

არის 18.83%. მცირე საწარმოების დროს ყველაზე ნაკლები ზრდის ტემპი არის 2008 წელს 4.58%, ყველაზე დიდი 2011 წელს 72.21%. 2012 წლიდან 2017 წლამდე დაახლოებით თანაბარია. საშუალო ზრდის ტემპი არის 22.42%.(იხ. ცხრილი 3)

### დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით

დიაგრამა 3



2017 წელს სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობაში მცირე საწარმოების დამატებული ღირებულება აღემატება მსხვილი საწარმოებისას. ასევე საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულება აღემატება მსხვილის დამატებულ ღირებულებას.

სამთომოპოვებით მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში მსხვილი საწარმოების დამატებულ ღირებულება აღემატება როგორც საშუალო ისე მცირე საწარმოების დამატებულ ღირებულებას. მცირე საწარმოების დამატებულ ღირებულება აღემატება საშუალო საწარმოების დამატებულ ღირებულებას.

დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით 2017 წელს, მლნ ლარი<sup>54</sup>

ცხრილი 4

	მათ შორის:			
	მთლიან	მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	19036.3	7314.4	4878.8	6843.2
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით				
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	146.3	28.7	57.4	60.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	309.7	163.1	39.4	107.2
დამამუშავებელი მრეწველობა	2594.3	1149.0	814.9	630.4
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მოწოდება	818.8	549.1	238.0	31.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	254.3	206.6	35.1	12.5
მშენებლობა	3133.0	860.2	942.6	1330.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	4185.8	1335.5	1017.3	1833.0
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1998.6	960.9	350.2	687.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	700.1	190.4	220.2	289.5

<sup>54</sup> <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf> გვ.49

ინფორმაცია და კომუნიკაციები	818.6	496.8	143.0	178.8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	810.0	60.4	162.5	587.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	807.0	23.2	218.3	565.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	423.4	94.8	123.4	205.2
განათლება	271.3	78.3	126.8	66.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1050.2	613.5	296.9	139.8
ხელოვნება გართობა და დასვენება	657.9	503.9	80.1	73.9
სხვა სახის მომსახურება	57.0		12.6	44.3

დამამუშავებელ მრეწველობაში მსხვილი საწარმოები აღემატება მცირე და საშუალო საწარმოების დამატებულ ღირებულებას.

ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მოწოდებაში მსხვილი საწარმოების დამატებული ღირებულება ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოებისას.(იხ. ცხრილი 4)

მშენებლობაში ყველაზე მეტი დამატებულ ღირებულებას ქმნის მცირე საწარმოები.

საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტში მცირე საწარმოების დამატებული ღირებულება აღემატება მსხვილ საწარმოებს.

ჯანდაცვაში მსხვილი საწარმოები ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოებს.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში მცირე საწარმოების დამატებული ღირებულება ბევრად აღემატება მსხვილი და საშუალო საწარმოებს.

შუალედური მოხმარება საწარმოთა ზომის მიხედვით<sup>55</sup>

ცხრილი 5

წელი	სულ	მათ შორის:		
		მსხვილი	საშუალო	მცირე
	მლნ. ლარი			
	1	2	3	4
<b>2006</b>	3,933.1	1,863.1	1,115.9	954.2
<b>2007</b>	5,103.7	2,394.2	1,671.7	1,037.8
<b>2008</b>	5,085.8	2,622.6	1,478.6	984.6
<b>2009</b>	5,539.0	2,646.1	1,599.2	1,293.7
<b>2010</b>	6,600.5	3,410.3	1,680.0	1,510.2
<b>2011</b>	9,986.3	4,817.7	2,533.5	2,635.0
<b>2012</b>	11,905.3	5,577.0	3,263.0	3,065.3
<b>2013</b>	11,414.5	5,022.5	3,004.4	3,387.6
<b>2014</b>	13,219.2	5,696.2	3,477.0	4,046.0
<b>2015</b>	15,232.9	6,336.8	4,199.5	4,696.6
<b>2016</b>	17,384.5	7,223.7	4,594.9	5,565.8
<b>2017</b>	19,170.5	8,280.3	4,840.4	6,049.7

მსხვილი საწარმოების შემთხვევაში 2007-2009 წლებში არის შუალედური მოხმარების ზრდის ტემპი არის კლებადი და 2009 წელს არის 0.90%. ყველაზე დიდი ზრდა არის 2011წელს 41%, უარყოფითი ზრდა ფიქსირდება 2013 წელს -9.94%. შემდეგ 2014-2017 წლამდე სტაბილურია.(იხ. ცხრილი 5)


საშუალო საწარმოების შემთხვევაში 2007 წელს არის თითქმის 50% ზრდა. შემდეგ 2008 წელს არის უარყოფითი ზრდა -11.5%, შემდეგ 2011 წელს არის 50% ზრდა, 2013-2013

<sup>55</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>

წლებში იკლებს და 2013 წელს არის უარყოფითი ზრდა -8%. 2015-2017 წლებში არის ისევ კლება და 2017 წელს არის 5.34%.

**შუალედური მოხმარება საწარმოთა ზომის მიხედვით**

დიაგრამა 4



მცირე საწარმოებში 2008 წელს -5.13%, 2011 წელს ყველაზე დიდი ზრდა, 74.48%, 2017 წელს 8%.(იხ დიაგრამა 4)



შუალედური მოხმარება საწარმოთა ზომის მიხედვით 2017 წელს,<sup>56</sup> მლნ ლარი

ცხრილი 6

მათ შორის:				
	მთლიანად	მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	19170.5	8280.3	4840.4	6049.7
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით				
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	311.6	84.0	105.4	122.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	380.9	252.5	52.0	76.4
დამამუშავებელი მრეწველობა	5808.0	2743.0	1588.9	1476.1
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მოწოდება	528.7	448.3	65.1	15.2
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	110.4	86.3	17.5	6.6
მშენებლობა	4478.0	1349.8	1426.0	1702.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2159.7	938.8	502.3	718.5
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1662.9	929.7	172.8	560.4
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	864.3	230.0	261.9	372.4
ინფორმაცია და კომუნიკაციები	628.1	371.3	104.3	152.5

<sup>56</sup> <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf> გვ.60

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	311.0	11.3	66.9	232.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	410.2	50.1	120.2	239.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	287.5	17.2	109.8	160.5
განათლება	95.6	22.5	40.6	32.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	564.6	365.6	132.9	66.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	510.5	379.8	62.2	68.4
სხვა სახის მომსახურება	58.6		11.4	47.2

სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობაში შუალედური მოხმარება როგორც მცირე ისე საშუალო საწარმოებში აღემატება მსხვილ საწარმოების მოხმარებას.

დამამუშავებელ მრეწველობაში მსხვილი საწარმოების შუალედური მოხმარება ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოებისას. ასევე ელექტროენერჯის მიწოდებაში და წყალმომარაგებაში.

მშენებლობაში მცირე საწარმოების შუალედური მოხმარება აღემატება მსხვილ საწარმოებისას.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებში მცირე და საშუალო საწარმოები ბევრად აღემატება მსხვილ საწარმოებს ისევე როგორც პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაში.

ჯანდაცვაში მსხვილი საწარმოების შუალედური მოხმარება ბევრად აღემატება საშუალო და მცირე საწარმოებისას ისევე როგორც ხელოვნება, გართობა და დასვენებაში.(იხ. ცხრილი 6)

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მთლიანი ხარჯები საწარმოთა ზომის მიხედვით  
2017 წელს მლნ ლარი<sup>57</sup>

ცხრილი 7

მათ შორის:				
	მთლიან	მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	66258.5	31019.8	14770.2	20468.5
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით				
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	512.5	194.8	150.7	167.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	576.1	378.0	82.4	115.7
დამამუშავებელი მრეწველობა	7448.1	3536.0	2082.9	1829.1
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მოწოდება	2640.5	2357.7	238.8	44.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	320.3	264.3	42.2	13.8
მშენებლობა	6019.6	1863.5	1936.2	2219.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	30717.1	12357.1	6767.6	11592.4
ტრანსპორტირება და დასაწყობება	4512.1	2091.7	956.5	1463.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1313.1	362.0	445.3	505.8
ინფორმაცია და კომუნიკაციები	1573.4	991.6	279.5	302.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	671.5	33.3	142.4	495.7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1206.0	161.6	310.5	733.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	892.6	103.1	343.3	446.1
განათლება	300.6	73.9	138.0	88.8

<sup>57</sup> <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf> გვ.72

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1477.5	915.1	399.8	162.6
ხელოვნება გართობა და დასვენება	5977.1	5335.9	429.4	211.7
სხვა სახის მომსახურება	100.4		24.7	75.7

სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავებაში გაწეული დანახარჯები მსხვილი საწარმოები ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოებს. ასევე დამამუშავებელ მრეწველობაში.

ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მოწოდება, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობებში მსხვილი საწარმოები ბევრად მეტ დანახარჯებს წვევენ.

მშენებლობაში მცირე საწარმოების დანახარჯები ისევე როგორც საშუალოსი აღემატება მსხვილი საწარმოებისას.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში მცირე საწარმოები მეტ დანახარჯს წვევენ ვიდრე მსხვილი საწარმოები, ისევე როგორც ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობებში.

ხელოვნება გართობა დასვენებაში მსხვილი საწარმოების დანახარჯები ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოებისას. (იხ. ცხრილი 7)

ახლა განვიხილოთ ძირითადი კაპიტალის მაჩვენებლები საწარმოთა ზომის მიხედვით:  
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით<sup>58</sup>

ცხრილი 8

წელი	მათ შორის:			
	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
	მლნ. ლარი			
	1	2	3	4
<b>2006</b>	2,054.7	1,418.0	342.6	294.1
<b>2007</b>	2,588.4	1,815.4	467.3	305.8
<b>2008</b>	2,229.0	1,276.4	608.9	343.8
<b>2009</b>	2,157.8	1,395.6	479.8	282.3
<b>2010</b>	3,210.1	2,286.0	496.1	428.0
<b>2011</b>	2,602.5	1,521.4	514.2	566.8
<b>2012</b>	3,245.6	1,758.8	725.1	761.7
<b>2013</b>	3,937.3	1,933.8	1,083.1	920.4
<b>2014</b>	3,559.6	1,584.3	559.6	1,415.7
<b>2015</b>	4,333.6	2,541.9	829.0	962.7
<b>2016</b>	4,665.4	2,482.7	1,052.6	1,130.0
<b>2017</b>	5,586.1	3,396.7	793.2	1,396.2

მსხვილი საწარმოებში 2008 წელს არის უარყოფითი ზრდა -29.69%, 2009 ში იზრდება 9%-ით. შემდეგ 2010 წელს არის ყველაზე დიდი ზრდა 63.80%. 2011 წელს -33.45% კლება და 2014 წელს -18%, 2015 ში დიდი ზრდა 60%, და 2016 წელს ისევ კლება -2.33%. 2017წელს ზრდა 36.81%.

საშუალო საწარმოებში 2009 წელს -21.20%, 2012-2013 წლებში წარმატება 41% და 49% ზრდა, 2014 წელს , -48% 205 წელს 48% ზრდა ,2017 წელს -24.64%.

<sup>58</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>

მცირე საწარმოებში 2009 წელს -17.89%, 2010 წელს ზრდა 51.61% ყველაზე დიდი ზრდა. 2014 წელს ასევე 54% ზრდა. 2015 წელს -32% , 2017 წელს 23.56% ზრდა. (იხ. ცხრილი 8)

ძირითადი კაპიტალი საწარმოთა ზომის მიხედვით 2017 წელს,<sup>59</sup> მლნ ლარი

ცხრილი 9

მათ შორის:				
	მთლიან	მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	34880.5	18429.0	7022.2	9429.3
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით				
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	1256.3	961.3	134.8	160.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	303.6	173.6	52.0	77.9
დამამუშავებელი მრეწველობა	3171.6	1690.0	910.8	570.9
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მოწოდება	4194.5	2321.4	1674.7	198.3
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	771.5	691.6	67.3	12.5
მშენებლობა	2014.1	662.0	536.0	816.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	3147.0	2124.7	456.7	565.5
ტრანსპორტირება და დასაწყობება	9581.9	5821.4	331.6	3428.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1846.5	781.2	750.6	314.7
ინფორმაცია და კომუნიკაციები	2047.6	1717.4	243.1	87.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3778.0	160.9	926.1	2691.0
პროფესიული, სამეცნიერო და	235.6	1.7	156.7	77.2

<sup>59</sup> <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf> გვ.95

ტექნიკური საქმიანობები				
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	352.0	10.9	217.0	124.2
განათლება	256.7	92.6	123.6	40.5
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1410.3	1136.1	209.4	64.8
ხელოვნება გართობა და დასვენება	468.7	82.2	224.1	162.3
სხვა სახის მომსახურება	45.0		7.7	37.3

სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობაში მსხვილი საწარმოების ძირითადი კაპიტალი ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოების კაპიტალს. ასევე დამამუშავებელ მრეწველობაში.

ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მოწოდებასა და წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობებში მსხვილი საწარმოების ძირითადი კაპიტალი ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოებისას.

მშენებლობაში მცირე საწარმოების კაპიტალი აღემატება მსხვილი საწარმოებისას.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებსა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებში, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობებში მცირე საწარმოების ძირითადი კაპიტალი აღემატება მსხვილი საწარმოებისას.

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობებში მსხვილი საწარმოები ბევრად აღემატება მცირე საწარმოებისას. (იხ. ცხრილი 9)

დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით<sup>60</sup>

ცხრილი 10

წელი და კვარტალი		მათ შორის:			
		სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
		კაცი			
		1	2	3	4
<b>1999</b>	...	379,360	111,601	134,399	133,360
<b>2000</b>	...	378,055	103,852	112,037	162,166
<b>2001</b>	...	313,370	98,830	92,148	122,392
<b>2002</b>	...	301,310	98,096	88,612	114,602
<b>2003</b>	...	297,795	95,859	80,695	121,241
<b>2004</b>	...	322,779	117,094	80,036	125,649
<b>2005</b>	...	388,946	135,465	94,388	159,093
<b>2006</b>	...	360,987	114,471	99,592	146,924
<b>2007</b>	...	361,209	116,256	109,151	135,801
<b>2008</b>	...	349,250	123,186	104,716	121,348
<b>2009</b>	...	387,463	129,686	106,346	151,430
<b>2010</b>	...	397,806	131,867	104,274	161,665
<b>2011</b>	...	503,236	153,243	118,688	231,305
<b>2012</b>	...	534,397	169,444	118,022	246,931
<b>2013</b>	...	550,885	178,422	125,925	246,538
<b>2014</b>	...	592,147	186,510	126,432	279,205
<b>2015</b>	...	626,739	198,586	137,171	290,982
<b>2016</b>	...	666,790	217,800	142,447	306,543
<b>2017</b>	...	708,165	233,589	145,463	329,112
<b>2018</b>	I	637,047	237,280	141,370	258,397
	II	656,526	241,424	144,684	270,418
	III	665,466	244,420	143,890	277,157
	IV	684,517	247,866	147,835	288,816

<sup>60</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>



1999-2003 წლებში მსხვილ საწარმოებში დასაქმებულების რაოდენობა მუდმივად კლებადია შემდეგ 2004 წელს 2003 წლის მიმართ ზრდა არის 22% ყველაზე დიდი პროცენტული ზრდა. 2006 წელს არის ყველაზე დიდი კლებადი პროცენტული ზრდა -15%. 2007-2010 წლებში არის მცირედი პროცენტული ზრდა, შემდეგ 2011 წელს არის 16% ზრდა და იკლებს 2015 წლამდე შემდეგ 2010 წელს არის 10% ზრდა და ისევ კლება 2018 წლამდე. 2018წლის პირველ კვარტალში 2017 წელთან შედარებით არის 2% ზრდა.

საშუალო საწარმოებში 2000 და 2001 წლებში -17% და -18% ზრდა. 1999-2014 წლამდე არის მუდმივი კლება დასაქმებულთა რაოდენობაში. 2005 წელს 2004 წელთან შედარებით არის მკვეთრი ზრდა 18%. 2005-2007 წლებში არის მუდმივი ზრდა რაოდენობის. შემდეგ 2008 წელს არის კლება -4%. 2011 წელს 2010 შედარებით არის ზრდა 14%. 2012 წელს 2011 შედარებით არის კლება -0.6%. 2015 წელს არის დიდი ზრდა 8.5%. 2018 წლის პირველი კვარტალში 2017 შედარებით არის კლება -2.8%.

მცირე საწარმოების შემთხვევაში 1999 წლიდან 2000 წლამდე არის მკვეთრი მატება 21.6%, შემდეგ 2001 წელს 2000თან შედარებით არის მკვეთრი კლება -24.53%ით. 2003-2005 წლებში არის დადებითი პროცენტული ზრდა. 2005 წელს არის დიდი ზრდა 27%. 2006-2008 წლებში არის მუდმივად კლებადი ზრდა. 2009 წელს მკვეთრი ზრდა 25%. ყველაზე დიდი პროცენტული ზრდა ფიქსირდება 2011 წელს 43.08%. 2014-2017 წლებში მუდმივი ზრდა. 2018 წლის პირველ კვარტალში 2017 წელთან შედარებით არის მკვეთრი კლება -21.5%.(იხ. ცხრილი 10)

შრომის მწარმოებლურობა ერთ დასაქმებულზე საწარმოთა ზომის მიხედვით 2017 წელს,<sup>61</sup>  
ლარი

ცხრილი 11

	მათ შორის:			
	მთლიან	მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	53952	66761	66815	39175
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით				
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	36059	27132	57240	31992
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	80630	99430	73808	58336
დამამუშავებელი მრეწველობა	90896	118048	104901	57628
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მოწოდება	90553	78474	208375	65557
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	24632	25115	22165	24915
მშენებლობა	99899	124570	114522	80299
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	34508	50216	54855	23009
ტრანსპორტირება და დასაწყობება	64784	64901	78629	60178
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	37113	55463	47371	27131
ინფორმაცია და კომუნიკაციები	67491	108441	51664	38331
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	63342	92549	88818	57175
პროფესიული, სამეცნიერო	48713	672783	72245	39885

<sup>61</sup> <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf> გვ.127

და ტექნიკური საქმიანობები				
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	28062	10042	49690	38544
განათლება	16209	32999	18799	9242
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	23270	25475	22754	17054
ხელოვნება გართობა და დასვენება	68359	133115	37143	21492
სხვა სახის მომსახურება	15500	-	22965	14280

სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობაში მცირე საწარმოებში შრომის მწარმოებლურობა ერთ დასაქმებულზე მეტია ვიდრე მსხვილ საწარმოებში.

სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავებაში მსხვილი საწარმოებში შრომის მწარმოებლურობა აღემატება მცირე და საშუალო საწარმოების მწარმოებლურობას.

ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მოწოდებაში საშუალო ზომის საწარმოებში შრომის მწარმოებლურობა ბევრად აღემატება მსხვილ და მცირე საწარმოებისას.

წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობებში სამივე ზომის საწარმოში თითქმის თანაბარია.

ინფორმაცია და კომუნიკაციებში მსხვილ საწარმოებში შრომის მწარმოებლურობა ბევრად აღემატება მცირე საწარმოებისას.

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებში მსხვილ საწარმოებში შრომის მწარმოებლურობა ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოების მწარმოებლურობას.

ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობებში მცირე და საშუალო საწარმოების შრომის მწარმოებლურობა ბევრად აღემატება მსხვილ საწარმოებისას. (იხ. ცხრილი 11)

კაპიტალის მწარმოებლურობა საწარმოთა ზომის მიხედვით 2017 წელს,<sup>62</sup> ლარი  
(პროდუქციის გამოშვება 1000 ლარის ძირითად კაპიტალზე)

ცხრილი 12

	მათ შორის:			
	მთლიან	მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	1095.4	846.2	1384.1	1367.3
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით				
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	364.5	117.2	1208.3	1138.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	2274.7	2393.6	1757.0	2355.40
დამამუშავებელი მრეწველობა	2649.2	2303.0	2639.3	3690.0
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მოწოდება	321.3	429.6	181.0	236.9
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	472.7	423.6	780.5	1524.5
მშენებლობა	3778.9	3338.2	4419.1	3716.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2016.4	1070.5	3327.0	4511.7
ტრანსპორტირება და დასაწყობება	382.1	324.8	1577.2	364.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	847.3	538.1	642.4	2103.5

<sup>62</sup> <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf> გვ.130

ინფორმაცია და კომუნიკაციები	706.5	505.5	1017.3	3803.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	296.7	445.9	247.7	304.7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	5167.6	44215.3	2159.4	10439.1
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	2019.3	10259.5	1074.7	2945.6
განათლება	1429.6	1088.8	1355.3	2435.1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1145.0	861.8	2053.1	3176.1
ხელოვნება გართობა და დასვენება	2493.0	10746.0	634.9	876.9
სხვა სახის მომსახურება	2569.5	-	3112.4	2456.9

სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობაში ძირითადი კაპიტალის მწარმოებლურობა მცირე და საშუალო საწარმოებში ბევრად აღემატება მსხვილი საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობას.

დამამუშავებელი მრეწველობაში მცირე საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობა აღემატება მსხვილი საწარმოებისას.

წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობებში მცირე საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობა აღემატება მსხვილი და საშუალო საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობას.

საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტში მცირე და საშუალო საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობა აღემატება მსხვილი საწარმოებისას.

ტრანსპორტირება და დასაწყობებაში საშუალო საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობა ბევრად აღემატება მსხვილი და მცირე საწარმოებისას.

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებში მცირე საწარმოები აღემატება მსხვილ საწარმოებს კაპიტალის მწარმოებლურობით.

ინფორმაცია და კომუნიკაციებსა, განათლებასა და ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობებში მცირე საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობა აღემატება მსხვილი საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობას.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებსა და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებში მსხვილი საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობა აღემატება მცირე და საშუალო საწარმოებში კაპიტალის მწარმოებლურობას.

ხელოვნება გართობა და დასვენებაში მსხვილი საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობა ბევრად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოების კაპიტალის მწარმოებლურობას.(იხ. ცხრილი 12)

## 2.2 ინოვაციების გავლენა მწარმოებლურობაზე

ტექნოლოგიური პროგრესი არის პრიორიტეტი ყველა ქვეყნისთვის რომლებსაც უნდათ ეკონომიკური განვითარება. ინოვაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკურენტუნარიანობასთან, მწარმოებლურობასთან და სამუშაო ადგილების შექმნასთან, მიჩნეულია საციცოცხლო ძალად ეკონომიკური ზრდისთვის. (Romer, 1986).<sup>63</sup> ეს ძალა, დამოკიდებული იმ ცოდნის შექმნის, დაგროვების და გავრცელება/დანერგვის პროცესთან, ლოკალიზებულია ინოვაციური ფირმების კლასტერებში(ჯგუფებში), რომლებიც ზოგჯერ არიან მჭიდრო თანამშრომლობაში საჯარო ინსტიტუტებთან(კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები).

---

<sup>63</sup> Romer P. M. (1986) Increasing Returns and Long-run Growth, Journal of Political Economy, 94, 1002-37.

დღეს გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ცოდნის სწრაფი გავრცელების გამო ფორმები იძულებული არიან მეტად დანერგონ ინოვაციები და გააფართოვონ ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ეს შეიძლება განხორციელდეს ან კვლევა-განვითარებით ან გარეგანი ტექნოლოგიური ცოდნა/გამოცდილების წვდომით. საერთო შეთანხმებებმა ხელი შეუწყო ცოდნის გაზიარებას და ტრანსფერს იმ საწარმოებს შორის, რომელიც ცნობილია როგორც მნიშვნელოვანი (კვაზი-საბაზრო) მექანიზმი ასეთი გარეგანი ცოდნის მიღებისთვის. (Schilling, 2008).<sup>64</sup> ადგილობრივ დონეზე ზრდა დამოკიდებულია იმ ტექნოლოგიურ აქტივობაზე რომელიც მიმდინარეობს ადგილობრივად და გარეგანი ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებაზე აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვით. (Martin and Ottaviano, 2001, Grossman and Helpman, 1994, Coe and Helpman, 1995).

არსებობს მრავალი ნაშრომი რომელიც ანალიზებს ინოვაციასა და ზრდას შორის კავშირს. (Lundvall, 1992; Nelson, 1992; Nelson and Rosenberg, 1993; Verspagen, 1995)<sup>65</sup> ნაშრომები ემპირიულად ადასტურებენ ინოვაციების დადებითი ეფექტი ეკონომიკურ განვითარებაში. შედეგად მრავალმა რეგიონულმა და სახელმწიფო მთავრობამ ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ინვესტიციები ინოვაციაზე დაფუძნებულ პოლიტიკაში. აღნიშნული ნაშრომის იდეაა, უზრუნველყოს ემპირიული დადასტურება ერთი მხრივ, ინოვაციებსა, ინოვაციების დანერგვასა და მწარმოებლურობის ზრდას შორის. ამისთვის ჩვენ მოვიყვანთ დამადასტურებელ ფაქტებს ზემოთაღნიშნულ კავშირზე სტატისტიკის გამოყენებით. ჩვენ შევისწავლით იმ კავშირს რომელიც არის ინოვაციის დანერგვასა და მწარმოებლურობის ზრდას შორის რეგრესიული ანალიზის, საშუალებით, რომელიც მხედველობაში იღებს ინოვაციის დანერგვის პროცესის ენდოგენურ ბუნებას. ანალიზი დაფუძნებულია სტატისტიკურ ინფორმაციაზე (ეყრდნობა Community Innovation Survey-ს, რომელიც ეხება ინოვაციურ აქტივობებს 1998-2000 და 2002-

---

<sup>64</sup> Schilling, M.A.(2008) Understanding the alliance data, Strategic Management Journal 30(3), 233-260.

<sup>65</sup> Lundvall B-A (Ed.), 1992 National Systems of Innovation: Towards a Theory of Innovation and Interactive Learning (Frances Pinter, London). Lundvall B-A (Ed.), 1992 National Systems of Innovation: Towards a Theory of Innovation and Interactive Learning (Frances Pinter, London). Nelson R R, and Rosenberg N (1993) Technical innovation and national systems', in National Systems of Innovation: A Comparative Study (Oxford University Press, Oxford), 3-21. Verspagen B. (1995) Convergence in the global economy: a broad historical viewpoint, Structural Change and Economic Dynamics, 6, 143-165.

2004 წლებს შორის), ქვეყნები მოიცავს 25 ევროკავშირის წევრს ქვეყანას, ასევე ისლანდიას, ნორვეგიას და თურქეთს.

### 2.3 გლობალური ინოვაციური პროცესები

არათანაბარი განვითარების თითქმის ათეული წლის შემდეგ, არსებობს ბიძგი გლობალური ეკონომიკის განვითარების. ახლანდელი გამოწვევა გლობალური ეკონომიკის განვითარებისთვის არის ის რომ მან მიაღწიოს ისეთ კომფორტულ ტემპს, რომელიც შენარჩუნდება მომავალი რამდენიმე წელი.

ამისთვის, საჭიროა იმ პოლიტიკისთვის პრიორიტეტების მინიჭება, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებზე დაფუძნებულ ზრდას. ინვესტიციები ინოვაციებში არის უმთავრესი ამ მიზნისთვის.

გლობალური ინოვაციური ინდექსის გამოთვლების თანახმად, კორპორაციული და საჯარო კვლევა-განვითარების წლიური დანახარჯების ზრდა ჯერ კიდევ მცირეა კრიზისამდე პერიოდზე.

მაგრამ, არსებობს ოპტიმიზმის საფუძველი. გლობალურმა სურათმა, ინვესტიციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, ისევე როგორც განათლებასა და ადამიანურ კაპიტალში, განიცადა მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში.

დღესდღეობით ინოვაციები და კვლევა-განვითარება არის უმნიშვნელოვანესი ბევრ განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკაში. გლობალური კვლევა&განვითარების (R&D)-ს ხარჯები აგრძელებენ ზრდას, თითქმის გაორმაგებულია 20 წლის განმავლობაში, 1996-2016 წლებში.



2016 წელს მსოფლიო მთლიანი კვლევა-განვითარების ხარჯები გაიზარდა 3%-ით. გლობალური ბიზნეს კვლევა-განვითარების ხარჯები გაიზარდა უფრო სწრაფად 2016 ში ვიდრე 2015 ში. Top 1000-მა კვლევა-განვითარების კომპანიებმა გაზარდეს თავიანთი დანახარჯები კვლევა-განვითარებაში 2015-2017(პირველი ნახევარი) წლებში.



## **2: მუდმივი ინვესტიციები ენერგეტიკის ინოვაციურ მიღწევებში არის საარსებო გლობალური ზრდისა და გარემოსთან დაკავშირებული კრიზისის თავიდან აცილებისთვის**


პროგნოზი აჩვენებს რომ 2040 წლისთვის მსოფლიოს დაჭირდება 30% მეტი ენერჯია ვიდრე სჭირდება ახლა. არის 5 ძირითადი შეტყობინება ამ წლის გლობალური ინოვაციური ინდექსის გამოცემიდან: 1. ინოვაციას აქვს გადამწყვეტი როლი ენერჯიაზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. 2. ენერჯიის ინოვაციები ხორციელდება გლობალურად, მიზნები(ამოცანები) განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. 3. ახალი ენერჯიის ინოვაციური სისტემები უნდა გამოჩნდეს, ყველა სტადიაზე ძალისხმევით, ენერჯიის განაწილებისა და შენახვის ჩათვლით. 4. დაბრკოლებები ენერჯიის ინოვაციების დანერგვასა და გავრცელებაში არის მრავალი. 5.საჯარო პოლიტიკა თამაშობს ცენტრალურ როლს ენერჯიის სისტემების სტრუქტურულ ცვლილებებში.

დასაწყისისთვის, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ახლახანს ენერჯიის ინოვაციებში. მაგალითად, განახლებადი ენერჯიის ტექნოლოგიების დაბალმა დანახარჯებმა გამოიწვია ენერგოეფექტურობა. დღეს, ქარისა და კონცენტრირებული მზის ენერჯიის ტექნოლოგიები არიან შესაფერისი ენერჯიის წყაროები. ულტრა-მაღალი ძაბვის ხაზები და ჰკვიანი ქსელები გვაძლევენ შესაძლებლობას, რომ ენერჯია და ელექტრობა შეიძლება მიწოდებულ იქნას შორ მანძილებზე.

ამას გარდა, ინოვაციები ენერგო-სექტორში არ არის მხოლოდ მაღალი შემოსავლების მქონე ეკონომიკების პრივილეგია. ინდოეთი და ჩინეთი სწავლობენ ფოტოვოლტური ტექნოლოგიების გამოყენებას.

### გლობალური კვლევა-განვითარების დანახარჯების ზრდა, 2006-16





**მოძრაობა გლობალური ინოვაციური ინდექსის ტოპ ათეულში**

2014	2015	2016	2017	2018
1.შვეიცარია	1.შვეიცარია	1.შვეიცარია	1.შვეიცარია	1.შვეიცარია
2.გაერთიანებული სამეფო	2.გაერთიანებული სამეფო	2.შვედეთი	2.შვედეთი	2.ჰოლანდია
3.შვედეთი	3.შვედეთი	3.გაერთიანებული სამეფო	3.ჰოლანდია	3.შვედეთი
4.ფინეთი	4.ჰოლანდია	4.აშშ	4.აშშ	4.გაერთიანებული სამეფო
5.ჰოლანდია	5.აშშ	5.ფინეთი	5.გაერთიანებული სამეფო	5.სინგაპური
6.აშშ	6.ფინეთი	6.სინგაპური	6.დანია	6.აშშ
7.სინგაპური	7.სინგაპური	7.ირლანდია	7.სინგაპური	7.ფინეთი
8.დანია	8.ირლანდია	8.დანია	8.ფინეთი	8.დანია
9.ლუქსემბურგი	9.ლუქსემბურგი	9.ჰოლანდია	9.გერმანია	9.გერმანია
10.ჰონგ-კონგი	10.დანია	10.გერმანია	10.ირლანდია	10.ირლანდია

### 3: ჩინეთის სწრაფი აღმავლობა უჩვენებს გზას სხვა საშუალო-შემოსავლის მქონე ეკონომიკებს

გლობალური ინოვაციების დაყოფა რჩება ფართო, მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები წინ მიუძღვიან ინოვაციურ გარემოს და არის დიდი განსხვავება ინოვაციების თითქმის ყველა შემავალ და გამომავალ განზომილებებში ამ ლიდერებსა და სხვა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის.

ამ კონტექსტში, ჩინეთის დაწინაურება გლობალური ინოვაციური ინდექსის სიაში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არის შთამბეჭდავი. 2016 წლიდან ჩინეთი იყო ტოპ 25ში და ამ წელს ამოვიდა მე-17 ადგილზე. მაღალია რომელიც არის საშუალო შემოსავლის ქვეყანა ცდილობს დაუახლოვდეს ტოპ 25ს არის 35-ე ადგილზე.

ჩინეთის ინოვაციური საქმიანობა ხდება ცხადი სხვადასხვა სფეროში. ის აჩვენებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს გლობალურ კვლევა&განვითარების(R&D) კომპანიებში, მაღალტექნოლოგიურ იმპორტში და გამოშვებული პუბლიკაციების ხარისხში. აბსოლუტურ მაჩვენებლებში და ისეთ სფეროებში როგორცაა კვლევა&განვითარების(R&D) დანახარჯები და მკვლევარების, პატენტების და პუბლიკაციების დაოდენობით ჩინეთი არის 1 ან მე-2 ადგილზე მსოფლიოში, ჩრდილავს რა ბევრ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანას.

ფაქტიურად, ჩინეთი წარმოადგენს მაგალითს სხვა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის რომ გაყვნენ მის გზას რათა შეუერთდნენ მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ეშელონს. დღესდღეობით ჩინეთის ყურადღება მიპყრობილია ინოვაციების ხარისხსა და ეფექტურობაზე.

გლობალური ინოვაციური ინდექსი 2018 ასევე ხაზს უსვამს 20 ქვეყანას, რომლებიც მათი განვითარებას დონესთან შედარებით უკეთესად ახორციელებენ ინოვაციებს. ეს ახლად შემოსული ქვეყნებია: კოლუმბია, ტუნისი, სამხრეთ აფრიკა, კოსტარიკა, სერბეთი, მონტენეგრო, ტაილანდი, საქართველო და მონღოლეთი.

#### **4: მდიდარი ეკონომიკები, უფრო მრავალფეროვანი ინდუსტრიული და ექსპორტის პორტფელით, სავარაუდოდ მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ინოვაციებში**

2018 წლის გლობალურ ინოვაციურ ინდექსის ცხრილებზე დაკვირვებით გასაკვირია მცირე მოსახლეობის მქონე ქვეყნების ან მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების არსებობა. გლობალური ინოვაციური ინდექსის ტოპ 20 ში არის ჰოლანდია, სკანდინავიური ევროკავშირის ქვეყნები, სინგაპური ისრაელი ლუქსემბურგი, მიუხედავად იმ ფაქტისა რომ მსხვილი ეკონომიკის მქონე ქვეყნები როგორცაა: აშშ, გერმანია და ახლა უკვე ჩინეთიც არიან ეგრეთვე ამ ჯგუფის წევრები. ისმის კითხვა: აძლევს ქვეყანას მისი სიმცირე დადებით უპირატესობას ინოვაციურ რანგებში?

გლობალური ინოვაციური ინდექსის ამ გამოცემაში სტატისტიკური კავშირი გლობალური ინოვაციური ინდექსის მაჩვენებელსა და ქვეყნის მახასიათებლებს შორის შეფასებულია. ძირითადი მიგნებები შემდეგია: 1. გლობალური ინოვაციური ინდექსის ყველა ვერსია დემონსტრირებას უკეთებს დადებით კავშირს ინოვაციის ეფექტურობასა და ეკონომიკის განვითარების დონეს შორის(გაზომილს მშპ ერთ სულ მოსახლეზე. მიუხედავად ამისა ზოგი ქვეყანა გადააჭარბებს ინოვაციურობის კუთხით თავის განვითარებას. 2. ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ქვეყნის სიდიდე გამოხატული მოსახლეობის რაოდენობით არ არის კორელაციაში გლობალური ინოვაციური ინდექსის მაჩვენებელთან სტატისტიკურად(მნიშვნელოვნად). როგორც დიდ, ისე პატარა ქვეყნებს აქვთ კარგი შანსი, რომ აჩვენონ მაღალი შედეგები გლობალურ ინოვაციურ ინდექსში; მცირე ქვეყნები უსამართლოდ არ ლიდერობენ. 3. მაღალი შემოსავლების ქვეყნები არიან უფრო ინოვაციურები როცა მათი ეკონომიკის სტრუქტურა - მათი ინდუსტრიის პორტფოლიო არის უფრო მრავალფეროვანი. 4. მსგავსად, ეკონომიკები განვითარების ყველა დონეზე არიან უფრო ინოვაციურები როცა მათ აქვთ მრავალფეროვანი ექსპორტის პორტფოლიო.

## **5: ფოკუსირების მოხდენა ინოვაციებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებულ უკუგებაზე არის საკვანძო**

რა არის საუკეთესო გზა იმისთვის რომ გარდავქმნათ ივესტიციები განათლებაში, დიდ რაოდენობით კვალიფიციური მკვლევარები და მაღალი დანახარჯები კვლევა-განვითარებაში მაღალი ხარისხის ინოვაციებში. მიუხედავად მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა ზემოთაღნიშნულ სფეროებში, ზოგი ქვეყანა ვერ ახერხებს შესაბამისი ინოვაციურობის დონის მიღწევას

ეკონომიკების უმეტესობაში არსებობს ხაზობრივი დამოკიდებულება ინოვაციების განმსაზღვრელ და მიღებულ ინოვაციებს შორის.

მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები: შვეიცარია, ჰოლანდია, შვედეთი გერმანია, ირლანდია, ლუქსემბურგი და უნგრეთი აღწევენ დიდ შედეგს ინოვაციების დანერგვაში გაწეული ძალისხმევის შედეგად. სინგაპური, ავსტრალია იაპონია, ჰონგ კონგი, კანადა ახალი ზელანდია ნორვეგია, ისევე როგორც ბევრი რესურსებით მდიდარი ქვეყანა: საუდის არაბეთი ყატარი ტრინიდადი და ტობაგო, რომლებიც არიან როგორც მაღალი შემოსავლის ქვეყნებივით, ეფექტურობა უარესია.

საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს შორის ჩინეთი მოსალოდნელზე უფრო წარმატებულია, მაშინ როცა, მაღაიზია მოსალოდნელზე ოდნავ სუსტია.

საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში როგორცაა: უკრაინა, მოლდოვა და ვიეტნამი უფრო ეფექტურნი არიან ვიდრე მოსალოდნელი იყო მათი ინოვაციების განმსაზღვრელი ფაქტორების დონით.

## **6: ძლიერი რეგიონალური ინოვაციური დისბალანსი შენარჩუნებულია, აფერხებს რა ეკონომიკურ და ადამიანურ განვითარებას**

რეგიონალურ დონეზე გაზომილი მაჩვენებლების საფუძველზე (1)ჩრდილოეთ ამერიკა არის ლიდერი, მას მოჰყვება (2)ევროპა, (3) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, აღმოსავლეთ აზია,

და ოკეანეთი, (4) ჩრდილო აფრიკა და დასავლეთ აზია, (5) ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვა, (6) ცენტრალური და სამხრეთ აზია, და საბოლოოდ, (7)სუბ-საჰარული აფრიკა.

ჩრდილოეთ ამერიკა - აშშ და კანადა - არის ლიდერი რეგიონი. აშშ იკავებს მე-6 ადგილს ამ წლის გლობალურ ინოვაციურ ინდექსში. მისი პოზიცია გაუარესებულია როგორც ინოვაციაში გაწეული ძალისხმევის მხარეს, ისე შედეგს შორის, გამოწვეული ადამიანური კაპიტალის და კვლევის, ინფრასტრუქტურის და კრეატიული პროდუქტის-ის გაუარესებაში(შემცირება). აშშ შია ასევე უპირველესი ინოვაციური კლასტერები: სილიკონის ველი.

ევროპა უახლოვდება ჩრდილო ამერიკას გლობალური ინოვაციური ინდექსის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით და იკავებს მე-2 ადგილს. 15 ქვეყანა ტოპ 25 ქვეყნიდან არის ევროპის და უემეტესობა არის ევროკავშირის წევრი.

მე-3 ადგილზე არის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი - რეგიონი, რომელიც აჩვენებს მნიშვნელოვან პროგრესს ისევე ამ წელს, განპირობებულს ძირითადად Association of Southeast Asian Nations (ASEAN). 7 მათგანი ამ რეგიონის 15 ეკონომიკიდან არის გლობალური ინოვაციური ინდექსის ტოპ 25 ქვეყანას შორის: სინგაპური(მე-5), კორეა(მე-12), იაპონია(მე-13), ჰონგ-კონგი(ჩინეთი)(მე-14), ჩინეთი(მე-17), ავსტრალია(მე-20) და ახალი ზელანდია(22-ე).

ამ წელს მალაიზია დაწინაურდა 35-ე ადგილზე, ტაილანდი 44-ე, ვიეტნამი 45-ე ადგილზე.

მე-4 ადგილზეა ჩრდილო აფრიკა დასავლეთ აზია. ისრაელი(მე-11), კვიპროსი(29-ე) და არაბეთის გაერთიანებული ემირატები(38-ე).

ლათინური ამერიკა და კარიბის ქვეყნები არის მე-5 ადგილზე. მიუხედავად რეგიონში არსებული პოტენციალისა ლათინური ამერიკის ქვეყნები გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით სხვა რეგიონებთან შედარებით მუდმივად არ უმჯობესდება. ჩილე აგრძელებს რეგიონის ლიდერობას გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით კიდევ ერთი წელი, მაშინ როცა მექსიკა დაწინაურდა ზევით ბოლო წლებში. ბრაზილია არის 64-ე ადგილზე გლობალურ ინოვაციურ ინდექსში 2018 წელს. ამ წელს კოსტა რიკა და

კოლუმბია იდენტიფიცირებულია, როგორც ინოვაციების მიმღწევეები. მე-6 ადგილზეა ცენტრალური და სამხრეთ აზია. ინდოეთი არის ერთადერთი ქვეყანა რეგიონიდან გლობალური ინოვაციური ინდექსის თავში, დაწინაურებული 2016 წლიდან. მაჩვენებლების მიხედვით, ინდოეთს კარგი პოზიციები უჭირავს შემდეგ სფეროებში: მეცნიერების და ინჟინერიის კურსდამთავრებულების რაოდენობით, მწარმოებლურობის ზრდა და ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიებით (ICT) მომსახურების ექსპორტი. ირანის ისლამური რესპუბლიკა რომელიც უახლოვდება გლობალური ინოვაციური ინდექსის სათავეს ამ წელს, გააუმჯობესა თავისი მაჩვენებელი 2014 წლიდან მოყოლებული. სხვა ქვეყნის ეკონომიკები რეგიონში: ყაზახეთი, შრილანკა, ნეპალი, პაკისტანი, და ბანგლადეში რომლებიც არინ დაბლა სარგებელს ნახავენ მეტი ინოვაციებით მომავალში. საბოლოო ადგილზეა სუბ-საჰარული აფრიკა, როგორც გასულ წელს, ამ წელსაც სამხრეთ აფრიკა იკავებს 58-ე ადგილს და ამ რეგიონის ყველა ქვეყანაზე მაღლაა. მას მოჰყვება მავრიკია(75-ე), კენია(78-ე) და ბოსტვანა(91-ე).

## **7: უპირველესი სამეცნიერო და ტექნოლოგიური კლასტერები აშშ-ში, ჩინეთში და გერმანიაში; ბრაზილია, ინდოეთი და ირანი ასევე შედიან ტოპ 100 სიაში.**

ქვეყნებმა აჩვენეს განსაკუთრებული ინტერესი ინოვაციური ეფექტურობის შეფასებასა და მონიტორინგზე სუბ-ეროვნულ დონეზე მათი შტატების, რეგიონების და ქალაქების კლასტერებში.

ეს სია მოიცავს მსოფლიოს ყველაზე დიდ კლასტერებს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ აქტივობების მხრივ. უკანასკნელ წელს, ეს მაჩვენებლები დამოკიდებულია საერთაშორისო პატენტების დოკუმენტების რეგისტრაციზე ასეთი კლასტერების იდენტიფიცირებისთვის. დამატებით, ამ წელს კლასტერების რანჟირებას შემოაქვს დამატებითი საზომი კლასტერების ეფექტურობის გასაზომად - აქტივობა სამეცნიერო გამოცემებში.

## **უპირველესი კლასტერები ტოპ 50 სიაში**



რანგი	კლასტერის დასახელება
1	ტოკიო-იოკოჰამა
2	შენძენი-ჰონგ-კონგი
3	სეული
4	სან ხოსე-სან ფრანცისკო, კა
5	პეკინი
9	პარიზი
15	ლონდონი
17	ამსტერდამი-როტერდამი
20	კელნი
22	თელ-ავივი-იერუსალიმი
28	სინგაპური
29	ეინდჰოვენი
30	მოსკოვი
31	სტოკჰოლმი
33	მელბურნი
37	ტორონტო
38	მადრიდი
44	თეირანი
45	მილანი
48	ციურიხი

## თავი 3. კვლევის შედეგები

### 3.1 საქართველოში ინოვაციური გარემოს ანალიზი

2018 წლის გლობალური ინოვაციური ინდექსი ანალიზებს შემდეგი ათწლეულის ინოვაციებს ენერგეტიკაში და გამოავლენს შესაძლო გარღვევებს შემდეგ სფეროებში: ენერჯის წარმოება, შენახვა-დაგროვება, განაწილება და მოხმარება. მიმდინარეობს მუშაობა გლობალური ინოვაციური ინდექსის კონტექსტში ორი მიმართულებით: 1. ქვეყნების მხარდაჭერა უკეთ შეაფასონ ინოვაციური აქტივობა ინოვაციების გაზომვით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და 2. დაეხმარონ ქვეყნებს გააუმჯობესონ ინოვაციური პოლიტიკა თავიანთი ძლიერი მხარეების გამოყენებით და გამოწვევების დაძლევით. ორივე ფრონტზე (ზემოთაღნიშნული), ნაციონალურმა გლობალური ინოვაციური ინდექსის მოვლენებმა განიცადეს მნიშვნელოვანი პროგრესი. პირველი, შემუშავებულ იქნა ის თუ როგორ შეივსოს განსხვავებები ქვეყნების ინოვაციურობის გაზომვაში. მეორე, მაღალი დონის შეხვედრები, ინოვაციების სფეროში დაინტერესებულ მხარეებს შორის, მოიცავდა ქვეყნების ინოვაციურ აქტივობებს და შესაძლო დარგობრივ პრიორიტეტებს, ხშირად მიყვარათ კონკრეტულ საინოვაციო პოლიტიკამდე.<sup>66</sup>

### გლობალური ინოვაციური ინდექსის კონცეპტუალური სტრუქტურა

გლობალური ინოვაციური ინდექსის პროექტი შემოიღო პროფესორმა Dutta-მ INSEAD-ში 2007 წელს, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვროს ის განზომილებები და მიდგომები, რომლებიც უკეთ გამოაჩენენ ინოვაციების სიმდიდრეს საზოგადოებაში და ისეთი

---

<sup>66</sup> <https://www.globalinnovationindex.org/gii-2018-report#>

ტრადიციული საზომი ერთეულების(ინოვაციის), როგორცაა კვლევითი სტატიები და კვლევა-განვითარების დანახარჯების დონე.<sup>67</sup>

გლობალური ინოვაციური ინდექსი(GII) არის განვითარებადი პროექტი, რომელიც დაფუძნებულია წინა გამოცემებზე, აერთიანებს ახალ ხელმისაწვდომ მონაცემებს, რომლებიც მოპოვებულია უახლესი კვლევების(ინოვაციების გაზომვისთვის) შედეგად. ამ წელს გლობალური ინოვაციური ინდექსის მოდელი მოიცავს 126 ქვეყანას/ეკონომიკას, რომლებიც წარმოადგენს 90.8% -ს მსოლიო მოსახლეობის და 96.3%ს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის. გლობალური ინოვაციური ინდექსი დაფუძნებულია ორ სუბ-ინდექსზე - შემავალ და გამომავალ ინოვაციურ სუბ-ინდექსებზე(Innovation Input Sub-Index and the Innovation Output Sub-Index.)<sup>68</sup>

გლობალური ინოვაციური ინდექსის სუბ-ინდექსი მოიცავს:

**1.ინსტიტუტებს, 2.ადამიანური კაპიტალს და კვლევას 3.ინფრასტრუქტურას 4. ბაზრის გაწაფულობას 5. ბიზნესის გაწაფულობას.**

1. **ინსტიტუტები** მოიცავს: პოლიტიკურ გარემოს, მარეგულირებელ გარემოს და ბიზნეს გარემოს.
2. **ადამიანური კაპიტალი და კვლევა** მოიცავს: განათლებას, უმაღლეს(მესამეულ) განათლებას, კვლევა-განვითარებას.
3. **ინფრასტრუქტურა** მოიცავს: ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს, საერთო ინფრასტრუქტურას, ეკოლოგიურ მდგრად განვითარებას.
4. **ბაზრის გაწაფულობა** მოიცავს: კრედიტს, ინვესტიციას, ვაჭრობას,კონკურენციას,& ბაზრის მასშტაბს.

---

<sup>67</sup> <https://www.globalinnovationindex.org/gii-2018-report#>

<sup>68</sup> <https://www.globalinnovationindex.org/gii-2018-report#>

5. **ბიზნესის გაწაფულობა** მოიცავს: ინფორმაციაზე მომუშავეებს, ინოვაციურ კავშირებს და ცოდნის შთანთქმას.<sup>69</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გამომავალი სუბ-ინდექსი მოიცავს მხოლოდ ორ მაჩვენებელს, მას აქვს იგივე მნიშვნელობა(წონა) მთლიანი გლობალური ინოვაციური ინდექსის მაჩვენებლის გამოთვლაში, როგორც შემავალ ინოვაციურ სუბ-ინდექსს.

1. **ცოდნისა და ტექნოლოგიური პროდუქტი** მოიცავს: ცოდნის შექმნას, ცოდნის ეფექტს და ცოდნის გავრცელებას.
2. **კრეატიული პროდუქტი** მოიცავს: არამატერიალურ აქტივებს, შემოქმედებით საქონელს და მომსახურებას და ონლაინ შემოქმედებას.<sup>70</sup>

### გლობალური ინოვაციური ინდექსი

ცხრილი 13

	რანგი(rank) 2018	რანგი(rank) 2017	რანგი(rank) 2013
<b>მთლიანი(overall)</b>	<b>59</b>	<b>68</b>	<b>73</b>
ინოვაციური ეფექტიანობის კოეფიციენტი(innovation efficiency ratio)	79	60	100
შემავალი სუბ-ინდექსი(Innovation input sub-index)	53	69	62
გამომავალი სუბ-ინდექსი(Innovation output sub-index)	62	62	83

<sup>69</sup> <https://www.globalinnovationindex.org/gii-2018-report#>

<sup>70</sup> <https://www.globalinnovationindex.org/gii-2018-report#>

გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით საქართველო 2018 წელს იყო 59-ე ადგილზე, მაშინ როცა 2017 68-ე, 2013 წელს 73-ე. ე.ი ამ სამი წლის მონაცემით გაუმჯობესებულია მაჩვენებელი.(იხ.ცხრილი 13).

**გლობალური ინოვაციური ინდექსი (ინსტიტუტები)**

ცხრილი 14

	რანგი(rank) 2018	რანგი(rank) 2017	რანგი(rank) 2013
<b>მთლიანი(overall)</b>	<b>39</b>	<b>47</b>	<b>47</b>
პოლიტიკური გარემო(political environment)	51	61	66
რეგულირების გარემო (regulatory environment)	28	30	37
ბიზნეს გარემო (business environment)	40	53	34

ინსტიტუტების მიხედვით საქართველო 2018 წელს იყო 39-ე ადგილზე 2017 და 2013 წელს 47-ე. მონაცემები მიუთითებს რომ როგორც პოლიტიკური გარემო, ისე რეგულირების გარემო და ბიზნეს გარემო 2018 წელს უკეთესი იყო ვიდრე 2017 წელს.(იხ.ცხრილი 14)

**გლობალური ინოვაციური ინდექსი (ადამიანური კაპიტალი და კვლევა)**

ცხრილი 15

	რანგი(rank) 2018	რანგი(rank) 2017	რანგი(rank) 2013
<b>მთლიანი(overall)</b>	<b>67</b>	<b>89</b>	<b>97</b>
განათლება(education)	54	88	97
უმადლესი(მესამეული) განათლება(Tertiary education)	57	83	80
კვლევა და განვითარება(Research and development (R&D))	74	91	79

ადამიანური კაპიტალის და კვლევის მიხედვით საქართველო 2018 წელს იყო 67-ე ადგილზე რომელიც გაუმჯობესებული მაჩვენებელია 2017 და 2013 წლებთან შედარებით. განათლება, უმაღლესი განათლება და კვლევა-განვითარების მაჩვენებლები გაუმჯობესებულია წინა წლებთან შედარებით.(იხ.ცხრილი 15)

### გლობალური ინოვაციური ინდექსი (ინფრასტრუქტურა)

	რანგი(rank) 2018	რანგი(rank) 2017	რანგი(rank) 2013
<b>მთლიანი(overall)</b>	<b>62</b>	<b>74</b>	<b>72</b>
ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები(ICTs)	74	69	65
ზოგადი ინფრასტრუქტურა(General infrastructure)	98	53	81
ეკოლოგიური მდგრადი განვითარება(Ecological sustainability)	22	93	73

ცხრილი 16

ინფრასტრუქტურის მიხედვით 2018 წელს საქართველო იყო 62-ე ადგილზე, რომელიც უკეთესია 2017 და 2013 წლებთან შედარებით. ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები წლებს მიხედვით უარესდებოდა. ზოგადი ინფრასტრუქტურა 2017 წელთან შედარებით გაუარესებულია და 53 ადგილიდან ჩამოვიდა 98 ადგილზე. ეკოლოგიური მდგრადი განვითარება გაუმჯობესებულია 2018 წელს 2017 და 2013-თან შედარებით. (იხ.ცხრილი 16)

გლობალური ინოვაციური ინდექსი (ბაზრის გაწაფულობა)

ცხრილი 17

	რანგი(rank) 2018	რანგი(rank) 2017	რანგი(rank) 2013
მთლიანი(overall)	39	53	34
სესხი(credit)	43	31	38
ინვესტიციები(investment)	21	60	52
ვაჭრობა,კონკურენცია, &ბაზრის მასშტაბი(Trade, competition, & market scale)	79	78	30

2018 წელს საქართველო ბაზრის მაჩვენებლების(სესხი,ინვესტიცია, ვაჭრობა,კონკურენცია, &ბაზრის მასშტაბი) მიხედვით 2017 წელთან შედარებით 53-ე ადგილიდან დაწინაურდა 39-ე ადგილზე, მაგრამ 2013(34-ე ადგილი) წელთან შედარებით გაუარესებულია (იხ.ცხრილი 17).

გლობალური ინოვაციური ინდექსი (ბიზნესის გაწაფულობა)

ცხრილი 18

	რანგი (rank) 2018	რანგი (rank) 2017	რანგი (rank) 2013
მთლიანი(overall)	98	101	95
ინფორმაციაზე მომუშავეები(Knowledge workers)	99	90	69
ინოვაციური კავშირები(Innovation linkages)	90	98	105
ცოდნის შთანთქმა(Knowledge absorption)	74	88	93

გლობალური ინოვაციური ინდექსი (ცოდნის და ტექნოლოგიური პროდუქტები)

ცხრილი 19

	რანგი(rank) 2018	რანგი(rank) 2017	რანგი(rank) 2013
<b>მთლიანი(overall)</b>	<b>110</b>	<b>54</b>	<b>63</b>
ცოდნის შექმნა(Knowledge creation)	116	44	45
ცოდნის ეფექტი(Knowledge impact)	108	66	43
ცოდნის გავრცელება(Knowledge diffusion)	88	77	118

ცოდნის და ტექნოლოგიური პროდუქტების მიხედვით მთლიანობაში საქართველო 2018 წელს იყო 110-ე ადგილზე. 2017 წელს 54-ე, ხოლო 2013 წელს 63-ე.(იხ.ცხრილი 19)

გლობალური ინოვაციური ინდექსი (კრეატიული პროდუქტები)

ცხრილი 20

	რანგი(rank) 2018	რანგი(rank) 2017	რანგი(rank) 2013
<b>მთლიანი(overall)</b>	<b>86</b>	<b>69</b>	<b>95</b>
არამატერიალური აქტივები(Intangible assets)	104	85	119
კრეატიული საქონელი და მომსახურება(Creative goods and services)	52	54	60
ონლაინ კრეატიულობა(Online creativity)	63	60	60



### 3.2 ინოვაციური პროცესების ანალიზი ქართულ ფირმებში

ინოვაციების გავლენის ანალიზი ქართული ფირმების ეფექტიანობაზე

ინოვაცია და ტექნოლოგია<sup>71</sup>

ცხრილი 21

მაჩვენებელი	საქართველო	ევროპა და ცენტრალური აზია	ყველა ქვეყანა
საწარმოების წილი რომლებიც იყენებენ ტექნოლოგიებს ლიცენზირებულს უცხოური კომპანიების მიერ (Percent of firms using technology licensed from foreign companies)	20.2	17.5	14.8
საწარმოების წილი რომელთაც აქვთ საკუთარი საიტი(Percent of firms having their own Web site)	49.4	62.2	46.0
საწარმოების წილი რომლებიც იყენებენ იმეილს კლიენტებთან/მომწოდებლებთან კონტაქტისთვის(Percent of firms using e-mail to interact with clients/suppliers)	75.9	84.7	70.3
საწარმოების წილი რომლებმაც დაანერგეს ახალი პროდუქტი/მომსახურება(Percent of firms that introduced a new product/service)	8.6	27.0	35.7
საწარმოების წილი რომელთა ახალი პროდუქტი/მომსახურება არის სიახლე ბაზრისთვის(Percent of firms whose new product/service is also new to the main market)	90.3	67.1	69.4
საწარმოების წილი რომელთაც დაანერგეს პროცესის ინოვაცია(Percent of firms that introduced a process innovation)	7.3	22.8	33.9
საწარმოების წილი რომლებიც ხარჯავენ კვლევა-განვითარებაზე(Percent of firms that spend on R&D)	4.5	10.0	14.5

<sup>71</sup> <http://www.enterprisesurveys.org/data/exploreeconomies/2013/georgia#2>

2013 წლის მონაცემებით საქართველოში საწარმოების წილი რომლებიც იყენებენ ტექნოლოგიებს ლიცენზირებულს უცხოური კომპანიების მიერ არის 20.2% რომელიც აღემატება როგორც ევროპისა და ცენტრალური აზიის, ისე მსოფლიოს მაჩვენებელს.

2013 საქართველოში საწარმოების დაახლოებით ნახევარს აქვს საკუთარი საიტი, რომელიც ნაკლებია ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მაჩვენებლებზე.

2013 საქართველოში საწარმოების 75.9% იყენებს იმეილს თავის საქმიანობაში, რომელიც აღემატება მსოფლიოს მაჩვენებელს მაგრამ ჩამორჩება ევროპასა და ცენტრ. აზიას.

2013 წელს საქართველოში იმ საწარმოების წილი რომლებმაც დანერგეს ახალი პროდუქტი/მომსახურება არის დაბალი 8.6% და ბევრად ჩამორჩება ევროპისა და მსოფლიოს მაჩვენებლებს.

2013 წელს საწარმოების წილი რომელთა ახალი პროდუქტი/მომსახურება არის სიახლე ბაზრისთვის არის 90.3% რომელიც აღემატება როგორც ევროპისა და ცენტრალური აზიის ისე მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებლებს.

2013 წელს იმ საწარმოების წილი რომელთაც დანერგეს პროცესის ინოვაცია არის დაბალი 7.3% და ჩამორჩება ევროპისა და ცენტრალური აზიის ისევე როგორც მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებლებს.

2013 წელს საწარმოების წილი რომლებიც ხარჯავენ კვლევა განვითარებაზე არის მცირე 4.5% და ბევრად როგორც ევროპის და ცენტრ. აზიის ისე მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებლებს.(იხ. ცხრილი 21)

ეფექტიანობის მაჩვენებლები<sup>72</sup>

ცხრილი 22

მაჩვენებელი	საქართველო	ევროპა და ცენტრალური აზია	ყველა ქვეყანა
მწარმოებლური სიმძლავრის გამოყენება (Capacity utilization (%))	59.4	72.9	71.7
წლიური გაყიდვების ზრდა (Real annual sales growth (%))	17.3	3.1	1.1
წლიური დასაქმების ზრდა(Annual employment growth (%))	12.3	3.9	5.0
წლიური შრომის მწარმოებლურობის ზრდა (Annual labor productivity growth (%))	6.9	-0.4	-3.2
საწარმოების წილი რომლებიც ყიდულობენ ფიქსირებულ აქტივებს(Percent of firms buying fixed asset	38.3	44.6	40.4

2013 წელს მწარმოებლური სიმძლავრის გამოყენების მაჩვენებელია 59.4% და ნაკლებია ევროპისა და ცენტრ. აზიის და მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებლებზე.

2013 წლის მონაცემებით წლიური გაყიდვების ზრდით საქართველო აღემატება როგორც ევროპისა და ცენტრ. აზიის ისე მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებლებს.

2013 წელს საქართველოში წლიური დასაქმების ზრდის მაჩვენებელი აღემატება როგორც ევროპისა და ცენტრ. აზიის ისე მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებლებს.

2013 წლის მონაცემებით საქართველოში შრომის მწარმოებლურობის ზრდა არის 6.9% და აღემატება როგორც ევროპისა და ცენტრ. აზიის ისე მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებლებს.

2013 წელს საწარმოების წილი რომლებიც ყიდულობენ ფიქსირებულ აქტივებს არის 38.3% და ნაკლებია როგორც ევროპისა და ცენტრ. აზიის ისე მთლიანი მსოფლიოს მაჩვენებლებზე.(იხ.ცხრილი 22)

<sup>72</sup> <http://www.enterprisesurveys.org/data/exploreeconomies/2013/georgia#performance>

ეკონომიკა	ფირმის ზომა	მწარმოებლური სიმძლავრის გამოყენება (%)	რეალური წლიური გაყიდვების ზრდა (%)	წლიური დასაქმების ზრდა (%)	წლიური შრომის მწარმოებლურობის ზრდა (%)	ფირმების (%) წილი ყიდულობენ ფიქსირებულ აქტივებს
ყველა ქვეყანა		71.7	1.1	5.0	-3.2	40.4
ევროპა და ცენტრ.აზია		72.9	3.1	3.9	-0.4	44.6
საქართველო		59.4	17.3	12.3	6.9	38.3
საქართველო		3.2	4.4	2.0	5.0	3.5
საქართველო		96.0	192.0	276.0	187.0	358.0
საქართველო	მცირე	54.8	11.2	10.3	1.9	32.8
საქართველო	საშუალო	60.6	28.1	16.2	19.2	45.8
საქართველო	მსხვილი	77.7	...	...	...	63.4

ეკონომიკა	ფირმის ზომა	საწარმოების (%) წილი იყენებენ უცხოურ ტექნოლოგიებს	ფირმების წილი რომელთაც აქვთ საკუთარი საიტი	ფირმების წილი იყენებენ ი-მაილს კლიენტებთან/ მომწოდებლებთან	ფირმების წილი დანერგეს ახალი პროდუქტი/მომსახურება	ფირმების წილი რომელთა ახალი პროდუქტი/მომსახურება არის სიახლე ბაზრისთვის	ფირმების წილი დანერგეს პროცესის ინოვაცია	ფირმების წილი ხარჯავენ კვლევა-განვითარებაზე
ყველა ქვეყანა		14.8	46.0	70.3	35.7	69.4	33.9	14.5
ევროპა და ცენტრ.აზია		17.5	62.2	84.7	27.0	67.1	22.8	10.0
საქართველო	მცირე	18.9	41.3	72.9	5.7	79.3	4.1	2.8
საქართველო	საშუალო	17.4	65.2	84.2	16.0	100.0	10.0	3.9
საქართველო	მსხვილი	39.3	65.6	70.6	6.9	89.3	29.3	25.0

## დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და მნიშვნელობა ეკონომიკაში. მისი როლი მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, უმუშევრობის შემცირებაში, კონკურენციის უზრუნველყოფაში, საწარმოო ხარჯების შემცირებაში და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ასევე განვიხილეთ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმართვის შემაბრკოლებელი ფაქტორები, რამაც შეიძლება შეაფერხოს აღნიშნული ბიზნეს საქმიანობის განვითარება. ჩვენ ასევე განვიხილეთ ინოვაციების არსი და მნიშვნელობა ბიზნეს საქმიანობის პროცესში. მათი არსებითი გავლენა ბიზნესის მართვაზე და განსაკუთრებულ როლზე ეფექტიანი ბიზნესის ჩამოყალიბებაში. ხაზი გავუსვით ინოვაციური საქმიანობის პროცესს, ინოვაციის ფორმებს და მოდელებს ფირმაში. ყურადღება გავამახვილეთ დაფინანსების სიმწირეზე, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დამაბრკოლებელი ბარიერია. აქედან გამომდინარე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, საჭიროა ფინანსურ რესურსებზე წვდომა, რათა განვითარდეს, დანერგოს ინოვაციები, გახდეს უფრო კონკურენტული და მწარმოებლური. ინოვაციები რჩება ძირითად სტრატეგიად და მამოძრავებელ ძალად საწარმოებისთვის კონკურენტულ გარემოში განვითარებასა და ზრდისთვის. ნებისმიერი ნაციის განვითარება დამოკიდებულია მისი საზოგადოების წევრების და მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ შესაძლებლობებზე. მცირე და საშუალო საწარმოები რჩებიან ეკონომიკური განვითარების კატალიზატორად როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში. ისინი უზრუნველყოფენ დასაქმების ზრდას, მეწარმეობის განვითარებას და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დანერგა ახალი ტექნოლოგიები, რაც არსებითი გახდა პროდუქციის წარმოების ახალი წესისთვის. მეცნიერების განვითარებამ კაცობრიობას მისცა ახალი ცოდნა წარმოებაში. ტექნოლოგიური პროგრესი არის უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ქვეყნისთვის, ვისაც სურს ეკონომიკურ განვითარებას მიაღწიოს.

ინოვაციებს შეუძლიათ გაზარდონ ფირმის ეფექტიანობა, მწარმოებლურობის ზრდით და დანახარჯების შემცირების კუთხით. სულ უფრო მზარდი კონკურენციის და რესურსების შეზღუდულობის პირობებში ფირმებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის ფირმებს ესაჭიროებათ ახალი ტექნოლოგიები, რათა გაუმკლავდნენ საბაზრო სირთულეებს კერძოდ, მსხვილი ფირმების კონკურენციას და სხვა საბაზრო სირთულეებს და დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნილებები.

ინოვაციის გავრცელება მოიცავს საწყისი ახალი ტექნოლოგიის დანერგვას საწარმოს მიერ და ინოვაციის შემდგომ გავრცელებას საწარმოს შიგნით და არის პროცესი როდესაც საწარმოს ძველი ტექნოლოგია და ინფრასტრუქტურა იცვლება ახლით. გავრცელების სტადია არის ნაკლებად მნიშვნელოვანი ეტაპი ტექნოლოგიური ცვლილების პროცესის წვილი, რომელიც შექვს ტექნოლოგიებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში განისაზღვრება იმ ტემპითა და ხასიათით რომლითაც ინოვაციები ვრცელდება შესაფერის პოპულაციაში. გავრცელების გარეშე ინოვაციას ექნებოდა მცირე ეკონომიკური და სოციალური გავლენა, თუმცა ის არის დამახასიათებელი ინოვაციური პროცესისთვის.

მცირე და საშუალო ზომის ფირმებს საციცოხლოდ ესაჭიროებათ ესეთი ინოვაციების დანერგვა, რათა გაიზარდოს მათი ეფექტიანობა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Achrol, R. S. & Etzel, M. J. (2003). "The Structure of Reseller Goals and Performance in Marketing Channels," *Journal of the Academy of Marketing Science*, 31(2), 146- 163.
2. and Interactive Learning (Frances Pinter, London). Nelson R R, and Rosenberg N (1993) Technical innovation and national systems', in *National Systems of Innovation: A Comparative Study* (Oxford University Press, Oxford), 3-21. Verspagen B. (1995) Convergence in the global economy: a broad historical viewpoint, *Structural Change and Economic Dynamics*, 6, 143-165.
3. Audretsch, D.B., Feldman, M.P. (1996), R&D spillovers and the geography of innovation and production. *The American Economic Review*, 86(3), 630-640.
4. Baldwin, J.R., Branch, S.C.A. (2000), *Determinants of Innovative Activity in Canadian Manufacturing Firms: The Role of Intellectual Property Rights*, Citeseer.
5. Baptista, R., Swann, P. (1998), Do firms in clusters innovate more? *Research Policy*, 27(5), 525-540.
6. Beaver, G. (2002). *Small Business, Entrepreneurship and Enterprise Development*, Pearson Education Ltd, United Kingdom.
7. Chong, R. (2009). "Firm Performance: An Analysis from the Theory of Innovation," *Australian Graduate School Entrepreneurship*. [Online], [Retrieved July 29, 2012], [http://www.swinburne.edu.au/lib/ir/online\\_conferences/agse2009/000162.pdf](http://www.swinburne.edu.au/lib/ir/online_conferences/agse2009/000162.pdf)
8. Chudnovsky, D., A. López, and G. Pupato. 2006. "Innovation and Productivity in Developing Countries: A Study of Argentine Manufacturing Firms' Behavior (1992-2001)." *Research Policy* 35(2): 266–288. Arza, V., and A. López. 2010. "Innovation and Productivity in the Argentine Manufacturing Sector." IDB Working Paper 187. Washington, DC, United States: Inter-American Development Bank.
9. Chudnovsky, D., Lopez, A., Pupato, G. (2006), Innovation and productivity in developing countries: A study of Argentine manufacturing firms' behavior (1992-2001). *Research Policy*, 35(2), 266-288.

10. Cobb, C.W., Douglas, P.H. (1928), A theory of production. The American
11. Collins, J. C. & Porras, J. I. (2000). "Built to Last – Successful Habits of Visionary Companies," London: Random House. [Online], [Retrieved September 15, 2011], <http://dowlingconsulting.ca/Builtto.pdf>
12. Crespi, G., Zuñiga, P. (2012), Innovation and productivity: Evidence from six Latin American countries. *World Development*, 40(2), 273-290.
13. Cumming, B. S. (1998). "Innovation Overview and Future Challenges," *European Journal of Innovation Management*, 1(1), 21 – 29.
14. *Economic Growth*. New Jersey: Princeton University Press.
15. *Economic Review*, 18(1), 139-165.
16. *Elsevier*, 39(5), 859-887.
17. Empirical evidence for Italy. *Small Business Economics* 33(1), 13-33.
18. Freeman, C. (1982). 'The Economics of Industrial Innovation,' 2nd ed., Frances Printer, London, UK.
19. Fritsch, M., Meschede, M. (2001), Product innovation, process innovation, and size. *Review of Industrial Organization*, 19(3), 335-350.
20. Garnsey, E. (1988). "A Theory of the Early Growth of the Firm," *Industrial and Corporate Change*, 7 (3), 523 556.
21. Garrigos-Simon, F. J., & Marques, D. P. (2004). 'Competitive Strategies and Firm Performance: A Study in the Spanish Hospitality Sector,' *Management Research*, 2 (3), 251–269.
22. Greenhalgh, C., Rogers, M. (2010), *Innovation, Intellectual Property, and*
23. Griliches, Z. 1979. "Issues in Assessing the Contribution of Research and Development to
24. Hall, B.H., Rosenberg, N. (2009), *Innovation and productivity in SMEs:*
25. Hegde, D., and P. Shapira. 2007. "Knowledge, Technology Trajectories, and Innovation in a Developing Country Context: Evidence from a Survey of Malaysian Firms." *International Journal of Technology Management* 40(4): 349-370.
26. <http://www.enterprisesurveys.org/data/exploreeconomies/2013/georgia#2>



27. <http://www.enterprisesurveys.org/data/exploreeconomies/2013/georgia#performance>
28. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=62> „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 1. პუნქტი 2.
29. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva>
30. <https://www.geostat.ge/media/13847/Mewarmeoba-saqartveloshi-2017.pdf>
31. <https://www.globalinnovationindex.org/gii-2018-report#>
32. Hult, G. T. M., Hurley, R. F. & Knight, G. A. (2004). “Innovativeness: Its Antecedents and Impact on Business Performance,” *Industrial Marketing Management*, 33 (5), 429-38.
33. Jong, J. P. J. & Vermeulen, P. A. M. (2006). “Determinants of Product Innovation in Small Firms: A Comparison across Industries,” *International Small Business Journal*, 24 (6), 587-609. Anderson, A., Wahab, K. A., Amin, H
34. Kuratko, D. F. & Hodgetts, R. M. (2004). 'Entrepreneurship: Theory, Process and Practices,' 6th edition, Smith western, USA.
35. Mairesse, J. and P. Mohnen. 2010. “Using Innovation Surveys for Econometric Analysis.” NBER Working Paper 15857. Washington, DC, United States: National Bureau of Economic Research.
36. Miguel, B.J. (2006), The role of research and innovation in promoting productivity in Chile. *Economics of Innovation and New Technology*, 15(5), 301-315.
37. OECD and Eurostat. 2005. *The Oslo Manual: The Measurement of Scientific and Technological Activities. Guidelines for Collecting and Interpreting Innovation Data*. 3rd edition. Paris, France: Organization for Economic Cooperation and Development/Eurostat
38. Productivity Growth.” *Bell Journal of Economics* 10: 92-116. Griliches, Z., and A. Pakes. 1980. “Patents and R&D at the Firm Level: A First Look.” NBER Working Paper 561. Washington, DC, United States: National Bureau of Economic Research
39. *Review of Economic Policy* 22(4): 483-498. OECD. 2009. *Innovation in Firms: A Microeconomic Perspective*. Paris, France: Organization for Economic Cooperation and Development.

40. Review, 42, 947-968. Grossman, G. and E. Helpman (1994) Endogenous Innovation in the Theory of Growth, *The Journal of Economic Perspectives*, 8(1), 23-44. Coe, D. and E. Helpman (1995) "International R&D spillovers," *European Economic Review*,
41. Roberts, P. W., & Amit, R. (2003). "The Dynamics of Innovative Activity and Competitive Advantage: The Case of Australian Retail Banking, 1981 to 1995," *Organization Science*, 14 (2), 107-122.
42. Romer P. M. (1986) Increasing Returns and Long-run Growth, *Journal of Political Economy*, 94, 1002-37.
43. Schilling, M.A.(2008) Understanding the alliance data, *Strategic Management Journal* 30(3), 233-260.
44. *Technologies* 15(4-5): 391–413.
45. Trau, F. (1996). Why Do Firms Grow?, Working Paper, 26, Roma, Italy.
46. Varis, M. & Littunen, H. (2010). "Types of Innovation, Sources of Information and Performance in Entrepreneurial SMEs," *European Journal of Innovation Management*, 13 (2), 128-154.
47. Wang, C. L. & Ahmed, P. K. (2004). "The Development and Validation of the Organizational Innovativeness Construct Using Confirmatory Factor Analysis," *European Journal of Innovation Management*, 7 (4), 303-13.
48. გაშვილი, სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში, თბილისი, 2009წ.
49. მიხეილ კიკნაძე., თემა: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ლათინური ქვეყნების გამოცდილება და მისი ადაპტირების შესაძლებლობები საქართველოში, დისერტაცია, 2016 წელი.
50. სტატის ავტორი: აზიკო სისვაძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის სრული პროფესორი.







